სსო მეტრი

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერების და ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზამკვლევი

საქართველო 2023

ქვეყნის ანგარიში

თბილისი

Funded by the European Union

CIVIL SOCIETY INSTITUTE

European Center for Not-for-Profit Law

IDFI Institute for Development of Freedom of Information

სსო მეტრი 2023: საქართველო ქვეყნის ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: დეკემბერი 2022 – ნოემბერი 2023

ავტორები: ნინა ფიჩხაია (CSI), იოსებ ედიშერაშვილი (GYLA) და თეონა ტურაშვილი (IDFI).
კონსულტანტი: ვაჟა სალამაძე (CSI).
კონტრიბუტორები: ნათია აფხაზავა, ლევან ფანიაშვილი და ანა ჯიქია

მრჩეველთა საბჭო: დავით აფრასიძე (კონრად ადენაუერის ფონდი (KAS) საქართველო), იოსებ ედიშერაშვილი (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია/GYLA), თეონა ტურაშვილი (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი/IDFI), ქრისტინე კანდელაკი (სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი/CSRDG), ვახტანგ ნაცვლიშვილი (ღია საზოგადოების ფონდი, საქართველო/OSGF Georgia), დავით ლოსაბერიძე (ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრი/CLDN), თამარ ტატიშვილი (ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი/ CTC), ნინა ხატისკაცი (დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი/NCCE), ნინო ხუხუა (ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო/LDA).

ანგარიში მომზადდა (ააიპ) სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, (ააიპ) ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან და (ააიპ) ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან თანამშრომლობის საფუძველზე.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI) საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციაა. 1996 წლიდან ის ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასა და დემოკრატიის გაძლიერებას, დემოკრატიული ღირებულებებისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერის გზით. CSI ასევე მუშაობს სხვადასხვა აქტორების შესაძლებლობების განვითარებისა და სამოქალაქო აქტივიზმის გაზრდის კუთხით. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტს აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობისა და დიალოგის გაძლიერების კუთხით. CSI-ის ექსპერტები კონსულტაციას უწევენ იუსტიციის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტს

პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ამავდროულად, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტს აქვს გამოცდილება სახელმწიფო პოლიტიკის მონიტორინგის მიმართულებით და შემუშავებული აქვს არაერთი ანგარიში. 1996 წლიდან დღემდე CSI-იმ ტრენინგი ჩაუტარა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და თემის რამდენიმე ათას წარმომადგენელს.

არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრი (ECNL Stichting) არის წამყვანი ევროპული რესურს და კვლევითი ცენტრი, რომელიც მუშაობს სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოს კანონმდებლობასა და პოლიტიკაზე. ECNL ქმნის ცოდნას, მხარს უჭერს პარტნიორებს და ეხმარება მათ იმ სტანდარტების ჩამოყალიბებაში, რომლებიც ქმნიან, იცავენ და განავრცობენ სამოქალაქო თავისუფლებასთან დაკავშირებულ ღირებულებებს.
ავტორები გულწრფელ მადლობას უხდიან ანგარიშის შექმნაში მონაწილე პირებს, მათ შორის ჰაბის წარმომადგენლებსა და მრჩეველთა საბჭოს წევრებს, სამოქალაქო საზოგადოების სექტორის წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ფოკუს ჯგუფის სესიებში, სხვა გამოკითხულ პირებსა და საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს, რომელთა მონაწილეობითაც შეგროვდა ანგარიშის შექმნისას გამოყენებული ინფორმაცია.

პროექტს „CSO მეტრი: ხელსაყრელი გარემოსა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეგზური“ ახორციელებს არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრი (ECNL) მის პარტნიორებთან ერთად, მათ შორის: საერთაშორისო გამჭვირვალობის ანტიკორუფციული ცენტრი სომხეთში; შპს MG Consulting აზერბაიჯანში; სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი საქართველოში; პრომო-LEX ასოციაცია მოლდოვაში და უკრაინის დამოუკიდებელი პოლიტიკური კვლევების ცენტრი (UCIPR).

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსზე ცალსახა პასუხისმგებლობა ეკისრება მის ავტორებს და დოკუმენტი არ შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის პოზიციის ამსახველ დოკუმენტად

საავტორო უფლება ეკუთვნის © 2023 ECNL Stichting-სა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტს (CSI) ყველა უფლება დაცულია.

სარჩევი

აბრევიატურები და აკრონიმები 5

5

I მოკლე მიმოხილვა 6

II. ძირითადი სტატისტიკური მონაცემები 11

III. ძირითადი მიგნებები 13

3.1 გაერთიანების თავისუფლება 13
3.2 თანასწორი მოპყრობა 16
3.3 დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა 18
3.4 მშვიდობიანი შეკრების უფლება 20
3.5 გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება 26
3.6 გამოხატვის თავისუფლება 30
3.7 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა 34
3.8 სახელმწიფოს მიერ დაცვის ვალდებულება 36
3.9 სახელმწიფო მხარდაჭერა 39
3.10 სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობა 41
3.11 ციფრული უფლებები 44

IV. ძირითადი პრიორიტეტები 48

V. მეთოდოლოგია 51

VI. წყაროები 54

აბრევიატურები და აკრონიმები

AI	ხელოვნური ინტელექტი
AML	ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ღონისძიებები
CSI	სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
CSO	სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია
CSR	კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა
CTF	კონტრ-ტერორიზმის დაფინანსება
EaP	აღმოსავლეთ პარტნიორობა
ECNL	არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრი
EUR	ევრო
FARA	ამერიკის უცხოური აგენტის რეგისტრაციის შესახებ აქტი
FATF	ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი
GDPR	მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია
GEL	ქართული ლარი
GNCC	საქართველოს კომუნიკაციათა ეროვნული კომისია
GRASS	საქართველოს რეფორმების ასოციაცია
GYLA	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
IDFI	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
ISFED	სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
ISP	ინტერნეტ სერვისების მიმწოდებელი
KYC	იცნობდე შენს კლიენტს
LEPL	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LGBTQ+	ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარი, ინტერსექსუალი, ასექსუალი ან/და მათი მხარდამჭერი პირები
MONEYVAL	ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო ღონისძიებების შეფასების ექსპერტთა კომიტეტი
NIS	ქსელური და საინფორმაციო სისტემები
NNLE	არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირი
NPO	არაკომერციული ორგანიზაციები
OGP	ღია მმართველობის პარტნიორობა
OTA	ოპერაციულ-ტექნიკური სააგენტო
USD	აშშ დოლარი
VAT	დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)

მოკლე მიმოხილვა

ქვეყნის კონტექსტი და სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ტენდენციები

2023 წელი საქართველოს საზოგადოებრივი სექტორისთვის დინამური მოვლენებით იყო დატვირთული. 2023 წლის 14 დეკემბერს, საქართველომ მიიღო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, რაც დიდი მიღწევაა ქვეყნისა და საზოგადოებისთვის, რომელმაც, თავის მხრივ, არაერთხელ დააფიქსირა ევროპული ოჯახის წევრობის სურვილი. სწორედ ამ სურვილის არსებობის გათვალისწინებით, „უცხოური აგენტების" შესახებ წლის დასაწყისში ინიცირებულმა კანონპროექტმა დიდი შეშფოთება და ვნებათაღელვა გამოიწვია. ევროკავშირის წარმომადგენლების მხრიდან გაკეთდა არაერთი კომენტარი იმასთან დაკავშირებით, რომ მსგავსი კანონპროექტის მიღება არ შეესაბამება ევროკავშირში გაწევრიანების, ევროპული ღირებულებების შესაბამისად ქვეყნის განვითარების მისწრაფებას, რაც, თავის მხრივ, გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციით,[1] და ეწინააღმდეგება ევროკავშირის ფარგლებში მოქმედ წესებსა და სტანდარტებს.[2] მოვლენებმა საფუძველი დაუდო ფართო მასშტაბის პროტესტს, რომელზეც დემონსტრანტების მრავალფეროვანი ჯგუფები იყვნენ წარმოდგენილნი, მათ შორის, ახალგაზრდების, სტუდენტებისა და სამოქალაქო აქტივისტების/ორგანიზატორების შემადგენლობით, რომლებიც აქტიურად გამოხატავდნენ წინააღმდეგობას კანონპროექტის მიმართ. პროტესტის ტალღებს სამართალდამცავებმა ძალის გამოყენებით უპასუხეს. გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი, წყლის ჭავლი, ადგილი ჰქონდა ფიზიკურ დაპირისპირებას დემონსტრანტებსა და სამართალდამცავებს შორის, ასევე - მასობრივ დაპატიმრებებს. მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ არაპროპორციული ზომების გამოყენებას შესაბამისი კრიტიკა მოყვა. ამ მოვლენების ფონზე, მმართველმა პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, უარი ეთქვა შემოთავაზებული კანონპროექტის საბოლოო მოსმენით მიღებაზე, რასაც დაურთო განზრახვა საზოგადოებისთვის კანონპროექტის მიზნების უფრო სრულყოფილად ახსნასთან დაკავშირებით, მას შემდეგ, რაც საზოგადოების წარმომადგენელთა გამძაფრებული ემოციები გადაივლიდა.

მიუხედავად საბოლოო შედეგისა, ამ მოვლენებმა განგრძობადი, ნეგატიური გავლენა იქონია სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ურთიერთობაზე, რომელიც დღემდე არ აღდგენილა. შედეგად, შეფერხდა რიგი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც დამოკიდებული იყო სამოქალაქო საზოგადოებრივ-ორგანიზაციებსა და მთავრობას შორის თანამშრომლობაზე, საჯარო და კერძო პარტნიორობის მექანიზმების ეფექტურობაზე. მათ

[1]საქართველოს კონსტიტუცია, https://matsne.gov.ge/en/document/view/30346?publication=36.

[2]eeas.europa.eu საქართველო: პრესსპიკერის განცხადება „გარე გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტზე 2023 წლის 24 თებერვალი https://www.eeas.europa.eu/eeas/georgia-statement-spokesperson-draft-law-%E2%80%9Ctransparency-foreign-influence%E2%80%9D_en

შორისაა დიალოგის პროცესზე დაფუძნებული ფულის გათეთრებისა (AML) და ტერორიზმის დაფინანსების (TF) წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის განახლების პროცესი. შემაშფოთებელია ისიც, რომ მთავრობის მიერ შენარჩუნებულია ნეგატიური შინაარსის რიტორიკა წამყვან სსო-ებთან დაკავშირებით, რაც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ მშვიდობას და მიზნად ისახავს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რეპუტაციის შელახვას.[3]

არ შეწყვეტილა პოლარიზაციის პროცესი, მრავალჯერადი ხასიათი ჰქონდა ძალოვანთა მხრიდან ძალის დაუსაბუთებელი გამოყენების, შეკრებებისა და მანიფესტაციების პირობებში არეულობის გამოწვევისა და მონაწილეთა შემდგომი დაპატიმრების შემთხვევებს. ადგილი ჰქონდა გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვას, რის მაგალითსაც წარმოადგენს ბათუმში რუსული კრუიზის შესვლის ფაქტის წინააღმდეგ გამართული პროტესტი და ე.წ „პრაიდის“ კვირეულთან დაკავშირებული ღონისძიებები. ამ კუთხით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არის ერთადერთი კანონი, რომელიც შემორჩენილია საბჭოთა კავშირის დროიდან და კვლავ მოქმედებს, როგორც აქციის მონაწილეების დაკავების მთავარი ინსტრუმენტი.[4]

უკვე მეორე წელია, ყველაზე მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენს რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული ომი. ამის გათვალისწინებით, ყველაზე თვალსაჩინო სოციალური და პოლიტიკური მოვლენა, რომელიც მნიშვნელოვან და ერთი შეხედვით განგრძობად ზემოქმედებას ახდენს საერთო სოციალურ ქცევაზე, უკავშირდება რუსეთის მოქალაქეების, განუსაზღვრელი ვადითა და დიდი ოდენობით შემოდინებას საქართველოში. წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, ბოლო სამი წლის განმავლობაში, რუსეთიდან საზღვრის გადმოკვეთის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საქართველოში 2023 წელს დაფიქსირდა.[5]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნოემბერში ევროკომისიამ რეკომენდაცია გაუწია ევროკავშირს საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ ქვეყანა შესაბამის ნაბიჯებს გადადგამდა.[6]

მთლიანობაში, 2023 წელი იყო მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენების წელი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების საარსებო გარემოს ცვლილებას.

საარსებო გარემოზე გავლენის მქონე ძირითადი მოვლენები

სამოქალაქო საზოგადოებათა საარსებო გარემო, საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი დაბრკოლებების გადალახვის მიუხედავად, უმნიშვნელოდაა შეცვლილი. ქვეყნისთვის

[3] Civil.ge USAID და EED "დაფინანსების ექსტრემიზმი საქართველოში" 2023 წლის 25 ოქტომბერი https://civil.ge/archives/565471

[4] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პარაგრაფი 3.4 (შეკრების თავისუფლება).

[5] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). „რუსეთის მოქალაქეების შემოდინება საქართველოში და გაჩენილი შეშფოთება საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით“. ხელმისაწვდომია ქართულად მისამართზე: https://idfi.ge/ge/the_influx_of_russian_citizens_to_georgia_and_emerging_concerns_in_public_safety

[6] 2023, კომუნიკაცია ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის თემაზე - Chrome Extension

მინიჭებული შეფასების შესაბამისად, ქვეყნის საერთო ქულა წინა წლის იდენტურია და 7 ქულიანი სისტემიდან 4.8-ს წარმოადგენს. უცვლელია ქვეყნისთვის მინიჭებული საერთო ქულა კანონმდებლობისა (შესაბამისად - 5.2 ქულა) და პრაქტიკის (შესაბამისად - 4.3 ქულა) მიმართულებით.

საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საარსებო გარემოზე ნეგატიური ზეგავლენის მქონე გარემოებათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია უცხოური აგენტების შესახებ კანონპროექტის ინიცირებასთან, მშვიდობიანი შეკრების უფლების დარღვევასთან და საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის პარტნიორობის პროცესის შეფერხებასთან დაკავშირებული გამოწვევები, აშკარაა გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების უფლების დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევების მუდმივობა. ამ პრობლემასთან დაკავშირებული მღელვარება ხშირად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის არასწორი ინტერპრეტაციის შემთხვევებს უკავშირდება.

როგორც აქამდეც აღინიშნა, 2022 წლის დეკემბრიდან მოყოლებული, სამოქალაქო საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენლები ებრძოდნენ „უცხოური აგენტების“ შესახებ კანონპროექტს და განიცდიდნენ ამ პროცესების გათვალისწინებით დამდგარ შედეგებს. საქართველოში „უცხოური აგენტების შესახებ კანონპროექტის“ იმპლემენტაციის მცდელობა შეფასებულია, როგორც ძალიან საკამათო, დინამიური და სწრაფად განვითარებადი პროცესი. კანონპროექტი პირველად დააინიცირა კონსერვატიულმა პოლიტიკურმა პარტიამ, რომელიც თავის მხრივ, მმართველ პოლიტიკურ ძალასთან, „ქართულ ოცნებასთან“ ასოცირდება. ინიციატორთა მითითებით, კანონპროექტი მიზნად ისახავდა ქართული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების იმგვარად კლასიფიკაციას, რომ გამოვლენილიყო უცხოური წყაროებიდან მიღებული დაფინანსების მქონე ორგანიზაციები, რომლებიც უცხოური აგენტების სახელმწოდებით მოიხსენიებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კანონის მომხრეები აცხადებენ, რომ მისი ჭეშმარიტი მიზანი იყო ქვეყნის შიგნით უცხოური გავლენის ნაწილში გამჭვირვალობის ხელშეწყობა, პროცესში გამოყენებული ტერმინოლოგია, მიმართვა და შესაბამისი სტატუსი გულისხმობს, რომ უცხოურ აგენტად შეფასებული ორგანიზაციები უცხოურ დაინტერესებულ სუბიექტთა გავლენის ქვეშ არიან, და შეიძლება იყვნენ მიკერძოებულები იყვნენ იმ პირობებში, როდესაც ცდილობენ კონკრეტული ფორმის ზეგავლენის მოხდენას გარკვეულ სოციალურ პროცესებზე, რაც, ბუნებრივია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობას ნეგატიური კუთხით წარმოაჩენს. კანონპროექტის მიხედვით, ყველა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია ვალდებული იყო ნებაყოფლობით ეღიარებინა აგენტის სტატუსი, რა დროსაც, მოცემულის შეუსრულებლობა დაკავშირებული იყო მძიმე იურიდიულ შედეგებთან, მნიშვნელოვანი ოდენობის ჯარიმებთან, რომლების დაკისრებასაც შეეძლო პოტენციურად გამოეწვია გარკვეული სსო-ების გაკოტრებისა და გადახდისუუნაროდ ქცევის პროცესი.

ზემოხსენებულის პარალელურად, გამოწვევად რჩება სახელმწიფოს უუნარობა ადეკვატურად შეამციროს/დააზღვიოს მემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფების აქტივისტებისა და ლგბტქ+ ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული ქმედებიდან წარმოქმნილი რისკები. მსგავსი ექსტრემისტული ჯგუფების ხელმძღვანელთა რეალური ქმედებების შეუფასებლობა/დაუსჯელობა მნიშვნელოვნად ამძიმებს სიტუაციას.

ხელშესახები შედეგები არ დამდგარა ფულის გათეთრებისა (AML) და ტერორიზმის დაფინანსების (TF) მიმართულებით საქართველოს მხრიდან რისკის შეფასების ანგარიშის წარმოებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობა „უცხოური აგენტების შესახებ“კანონპროექტის ინიცირების ეტაპიდან ფაქტობრივად შეწყდა.

ზემოხსენებულმა მოვლენებმა გამოიწვია წინა წლის ფარგლებში გაკეთებული შეფასებების შემდეგნაირად ცვლილება:

ქულები გაუარესდა შემდეგ სფეროებში: დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა (მე-3 უფლებრივი კატეგორია) პრაქტიკის მიმართულებით ქულა შემცირდა 5,3-დან (2022 წელს) 5,1-მდე (2023 წელს) და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (მე-4 უფლებრივი კატეგორია) (პრაქტიკის მიმართულებით ქულა შემცირდა 3,9-დან (2022 წელს) 3,8-მდე (2023 წელს). ნეგატიური ცვლილებები დაფიქსირდა მე-8 უფლებრივი კატეგორიის ფარგლებში, კერძოდ პრაქტიკის მიმართულებით ქულა შემცირდა 3,9-დან (2022 წლიდან) 3,8-მდე (2023 წელს) და მე-10 უფლებრივი სფეროს, სახელმწიფო-სსო თანამშრომლობის კატეგორიაში (პრაქტიკის მიმართულებით ქულა შემცრიდა 3,9-დან (2022 წელს) 3,8-მდე (2023 წელს).

უცვლელია ის ორი უფლებრივი სფერო, რომელიც უმაღლესი ქულებითაა შეფასებული, კერძოდ, 1 უფლებრივი სფერო (ასოციაციის თავისუფლება, რომელიც ფასდება 6.1 ქულით 7-დან), და თანასწორობის უფლება (მე-2 უფლებრივი სფერო, რომელიც შეფასებულია 5.6-ით, 7-დან), რასაც მოჰყვება 6 და 11 უფლებრივი სფეროები (გამოხატვის თავისუფლება და ციფრული უფლებები) რომლებიც წინა წლის მსგავსად - 4,9 ქულით ფასდებიან.

მიუხედავად იმისა, რომ წელს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის, მე-7 უფლებრივი სფერო ერთადერთია, რომლის ქულაც პარლამენტის მიერ პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ახალი კანონის მიღების შედეგად 4,6-დან 4,7-მდე გაიზარდა, იგი სამ ყველაზე დაბალი შეფასების მქონე სფეროდ რჩება, მე-9 სფეროსთან (სახელმწიფო მხარდაჭერა) და მე-10 სფეროსთან (სსო-სახელმწიფო თანამშრომლობა) ერთად.

ძირითადი პრიორიტეტები

1. საქართველოს მთავრობამ უნდა შეიმუშაოს და მიიღოს ერთიანი სტანდარტები/წესები კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების საჯარო კონსულტაციების შესახებ ეროვნულ დონეზე, მათ შორის, მკაფიოდ განსაზღვროს მონაწილეობა, როგორც სავალდებულო ეტაპი დადგენილებების, კანონპროექტების, სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში, ასევე დანერგოს სხვა, მსგავსი ტიპის ინსტრუმენტები და შექმნას დარღვე-ვის შემთხვევებში საქმის გამოსწორების ქმედითი მექანიზმები.
2. სახელმწიფოს, ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის სხვა წარმომადგენლებმა უნდა შეწყვიტონ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე თავდასხმა და თავი შეიკავონ მათი შევიწროებისგან, გააძლიერონ კრიტიკული სსო-ების მონაწილეობა სამოქალაქო სექტორისთვის მნიშვნელოვან პროცესებში და უზრუნველყონ უსაფრთხო და თავისუფალი გარემოს არსებობა ორგანიზაციებისა და უფლებადამცველების საზოგადოებრივი საქმიანობისთვის.

3. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც იქნება ადამიანის ძირითად უფლებებთან შესაბამისობაში.
4. სიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა უნდა გააგრძელოს აქტიური კომუნიკაცია სსო-ის წარმომადგენლებთან და უზრუნველყოს მათი ჩართულობა სსო-ის გარემოს არასათანადო გაუარესების თავიდან აცილების მიზნით MONEYVAL-ის სახელ-მძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესში.
5. სახელმწიფომ ურყევად უნდა დაიცვას მშვიდობიანი შეკრების უფლება, კანონიერი ფორმების გამოყენებით გაუმკლავდეს საჯარო პროტესტს, შევიდეს მოლაპარაკებაში საზოგადოებასთან და შეზღუდოს პოლიციის გადამეტებული რეაგირების შემთხვევები აქციებზე;
6. სახელმწიფო ინსტიტუტებმა, განსაკუთრებით საქართველოს მთავრობამ, პატივი უნდა სცეს და უპასუხოს საკუთარ ვალდებულებებს OGP-ის ფარგლებში, მათ შორის OGP-ის სამოქმედო გეგმის მიღებით და გამოყოს მოცემულისთვის საკმარისი ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსები
7. პროკურატურა ვალდებულია პრიორიტეტულად და დროულად გამოიძიოს სსო-ების წარმომადგენლებზე, ჟურნალისტებისა და სხვათა სავარაუდო უკანონო და თვითნებური მეთვალყურეობის შემთხვევები, ყველა დაზარალებულისთვის უზრუნველყოს მსხვერ-პლის სტატუსის მინიჭება, საქმის მასალების სრულად მიწოდება და საზოგადოებასთან გამჭვირვალე ფორმატში ამ საკითხებზე უკუკავშირი.

II. ძირითადი სტატისტიკური მონაცემები

მოსახლეობა: 3 736.4 (2023)[7] | **მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე**: 6,672.00 აშშ დოლარი (2023)[8] | **სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ოდენობაs**: რეგისტრირებული ორგანიზაცია 30258;[9] აქტიური ორგანიზაცია 1,286[10] | **სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ოდენობა 10.000 სულ მოსახლეზე**: 3 | **საზოგადოებრივი ორგანიზაციის რეგისტრირების საფასური**: 200 ლარი (დაახ. 70 ევრო) ან 400 ლარი (დაახ. 140 ევრო) დაჩქარებული პროცედურის შემთხვევაში | **თავისუფლების ინდექსი მსოფლიოში**: ნაწილობრივ თავისუფალი (58/100)[11] | **პრესის თავისუფლების მსოფლიო ინდექსი**: 61.69 (77 ადგილი 180 ქვეყნიდან, 2023)[12]

ქვეყნის ჯამური (საერთო) ქულა: 4.8
კანონმდებლობა: 5.2
პრაქტიკა: 4.3

ქულები იცვლება 1-დან 7-მდე, სადაც 1 არის ყველაზე დაბალი შესაძლო ქულა (რადიკალურად არახელსაყრელი – ავტორიტარული რეჟიმი) და 7 ასახავს ყველა-ზე მაღალ შესაძლო ქულას (განსაკუთრებულად ხელსაყრელი გარემო).

უფლებრივი სფერო	ჯამური	კანონმდებლ	პრაქტიკა
გაერთიანების თავისუფლება	6.1	6.1	6.0
თანასწორი მოპყრობა	5.6	5.8	5.3
დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა	5.6 ↓	6.0	5.1 ↓
მშვიდობიანი შეკრების უფლება	4.5 ↓	5.2	3.8 ↓
გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწი-ლეობის უფლება	4.8	5.3	4.2 ↓
გამოხატვის თავისუფლება	4.9	5.6	4.1
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა	3.9 ↑	4.7 ↑	3.0
სახელმწიფოს მიერ დაცვის ვალდებულება	4.4 ↓	5.0	3.8 ↓
სახელმწიფო მხარდაჭერა	4.2	4.4	4.0
სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობა	4.0 ↓	4.2	3.7 ↓

[7] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,, https://www.geostat.ge/en/modules/categories/41/population
[8] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,, https://www.geostat.ge/en/modules/categories/23/gross-domestic-product-gdp.
[9] რეგისტრირებული სსო-ების სია, https://csogeorgia.org/storage/app/media/organisation_list.pdf
[10] CSO Georgia - ვებგვერდი https://csogeorgia.org/en/
[11] Freedom House - ვებგვერდი - 2023, https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2023
[12] Reporters Without Borders - ვებგვერდი, https://rsf.org/en/index.

ციფრული უფლებები	**4.9**	5.1	4.7

ისრები მიუთითებს გაუმჯობესებაზე ან გაუარესებაზე შარშანდელ ქულებთან შედარებით

III. ძირითადი მიგნებები

3.1 გაერთიანების თავისუფლება

ჯამური ქულა: **6.1/7**

კანონმდებლობა: **6.1/7**	პრაქტიკა: **6.0/7**

საქართველო მტკიცედ იცავს უფლებამოსილ პირთა გაერთიანების თავისუფლებას, როგორც კანონმდებლობის, ისე პრაქტიკის გათვალისწინებით. სტანდარტი შენარჩუნებულია 2023 წელსაც, ამ მიმართულებით რაიმე სახის მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე, შესაბამისად, შენარჩუნებულია 2022 წლის შეფასებები.

კომერციულ და არაკომერციულ იურიდიულ პირთა რეგისტრირების საკითხთან დაკავშირებით, წინა საანგარიშო პერიოდში დაწყებული საკანონმდებლო ცვლილებების საბოლოო იმპლემენტაცია მოცემულ ეტაპზეც არ განხორციელებულა, შესაბამისად, პროცესიდან გამომდინარე საბოლოო შედეგების შეფასება ნაადრევია. არაკომერციულ იურიდიულ პირთა რეგისტრირებისა და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების ღირებულება გაზრდილია. რეგიონებში მოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უმრავლესობა, აწყდება პრობლემებს რეგისტრირებულ მონაცემთა განახლებასთან დაკავშირებით, რადგან, როგორც წესი, მათთვის არ არის ხელმისაწვდომი კვალიფიციური იურიდიული კონსულტაცია/შიდა-ორგანიზაციული კადრების მხრიდან სამართლებრივი მხარდაჭერა.

მიუხედავად პროცესთან დაკავშირებული ნეგატიური ფაქტორებისა, აღსანიშნავია პოზიციური ასპექტი, რაც გულისხმობს ფაქტობრივად უმოქმედო საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ავტომატურ გაუქმებას. ორგანიზაციები, რომლებიც ფაქტობრივად არ ფუნქციონირებენ, კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვით მონაცემთა დაურეგისტრირებლობის პირობებში ავტომატურად გაუქმდებიან. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს ძალიან ბევრი, უფუნქციო, მაგრამ რეგისტრირებული ორგანიზაცია, პროცესი მოემსახურება მსგავს ორგანიზაციათა ფილტრაციას.

ზემოხსენებულის გარდა, უფლებრივი სფეროს ფარგლებში არ ფიქსირდება რაიმე სახის არსებითი ცვლილებები, რაც დაკავშირებულია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დაფუძნებასთან, საქმიანობის რეგულირებასთან, მათი გავრცელების გეოგრაფიულ არეალთან, გაუქმების პროცესთან, რა მიზეზითაც აქტუალურად უნდა ჩაითვალოს უფლებრივი სფეროს ფარგლებში აქამდე გაცემული რეკომენდაციები.

1) **საზოგადოებრივი ორგანიზაციები მიყვებიან რეგისტრირებულ მონაცემთა კანონმდებლობის ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობის პროცესს, თუმცა მსგავსი ცვლილებების საერთო შედეგები სექტორზე ჯერჯერობით განუსაზღვრელია.**

რეალურ დროში, რეგისტრირებულ მონაცემთა კანონმდებლობის ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი პრიორიტეტულია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის.[13] მათმა გარკვეულმა ნაწილმა წარმატებით გაართვა თავი მითითებულს, რა დროსაც სახელმწიფოს წარმომადგენელი უფლებამოსილი ორგანოები გამოირჩეოდნენ აქტიური უკუკავშირით, ცვლილებებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მოწოდების ნაწილში. მოცემული ასევე გულისხმობდა ახალ მოთხოვნებთან დაკავშირებული კონკრეტული ინტერპრეტაციების შემოთავაზებას, ამით კი, სახელმძღვანელო წესებზე გარკვეული ფორმით მითითებას. იუსტიციის სამინისტროს მხრიდან მომზადდა სოციალური რეკლამაც, რომელიც ემსახურებოდა მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის ფართო საზოგადოებაში გავრცელებას, თუმცა არც მოცემული გახდა საკმარისი რეგიონებში არსებული ორგანიზაციებისთვის პროცესის გასამარტივებლად, რომლებიც განიცდიან სამართლებრივი მხარდაჭერის ნაკლებობას.

უნდა აღინიშნოს თავად საზოგადოებრივი სექტორის აქტიური მონაწილეობა საკითხთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმაციის გავრცელების კუთხით. ორგანიზაციათა უმრავლესობის მიერ დაიგეგმა და აღსრულდა საგანმანათლებლო და ინფორმაციული კამპანიები, რომლებიც მიზნად ისახავდა სხვა ორგანიზაციებისა და რეგიონში არსებული სუბიექტების ინფორმირებას/სწავლებას რეგისტრირებასთან დაკავშირებული საჭირო დეტალების შესახებ.[14] მსგავსი აქტივობები არსებითია მიზნობრივი ჯგუფების ჯეროვნად ინფორმირებისთვის.

მიუხედავად პროცესთან დაკავშირებული პოზიტიური ასპექტებისა,[15] ამგვარ ცვლილებათა საერთო შედეგები სექტორზე ჯერჯერობით განუსაზღვრელია, რადგან წინ არის რეგისტრირებისთვის ორგანიზაციათათვის მიცემული ვადა.

სსო-ის ლიკვიდაციის/შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საგადასახადო ორგანოებმა უნდა შეამოწმონ, რომ ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა იძლევა ლიკვიდაციის საშუალებას და რომ არ არსებობს რაიმე სახის სახელმწიფო დავალიანება. მოცემულისთვის განსაზღვრული მაქსიმალური ვადა არის ოთხი თვე, რაც შეიძლება გაგრძელდეს დამატებით, ერთი თვით საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში. მსგავსი ტიპის, ბიუროკრატიასთან დაკავშირებული მიზეზების გამო, სსო-ებს აქვთ ლიკვიდაციის ფორმალური პროცედურის თავიდან არიდების სურვილი, რის შედეგადაც ათასობით დარეგისტრირებული, მაგრამ უფუნქციო სსო არსებობს. ახალი საკანონმდებლო მოთხოვნები მოემსახურება ამ გამოწვევის მოგვარებას, რაც გაამარტივებს აქტიური და ქმედითი სსო-ების იდენტიფიცირების პროცესს, რადგან ის სსო, რომელიც არ დაიცავს კანონმდებლობით დადგენილ ვადებს, ავტომატურად დაკარგავს რეგისტრირებულ სტატუსს. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში

[13] საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=1 (კონსოლიდირებული ვერსია ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე). 2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი მეწარმეთა შესახებ, ასევე სამინისტროს ახალი ბრძანება.

[14] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფეისბუქ გვერდი, კომერციული განცხადება ახალი რეგისტრაციის პროცესის შესახებ (ქართულ ენაზე), https://www.facebook.com/MinistryofJusticeofGeorgia/videos/518412390427812/.

[15] იხილეთ პარაგრაფი 3.1 2022 წლის ანგარიშში - https://civilin.org/en/information/georgia-is-a-medium-risk-country-for-cso-activities-according-to-cso-meter-2022/

სსო-ების ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის პროცესის გამარტივების საკითხი, კვლავაც აქტუალური იქნება.

2) საკანონმდებლო ცვლილებები იწვევს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მხრიდან დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსების მობილიზების საჭიროებას

საზოგადოებრივ ორგანიზაციათათვის, რეგისტრირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცესები ზრდის მოცემულის განსახორციელებლად საჭირო რესურსების ფარგლებს. მაგალითისთვის, რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები გაიზარდა[16] და დღევანდელი მოცემულობით შეფასებულია, როგორც მაღალი. (რეგისტრირების ღირებულება სტანდარტული პროცედურის ფარგლებში შეადგენს 200 ლარს (დაახლოებით. 70 ევრო) რაც გაზრდილია ორჯერ, რამეთუ პროცედურის ღირებულება 2021 წელს 100 ლარი იყო (დაახლოებით 35 ევრო). დაჩქარებული წესით (იმავე დღეს) რეგისტრირების პროცედურა კი 400 ლარის ღირებულებისაა (დაახლოებით. 140 ევრო), რაც გაზრდილია, შესაბამისად, 200 ლარიდან (დაახლოებით 70 ევრო). მოცემული ხარჯიანად ითვლება ბევრი, უპირველეს ყოვლისა, რეგიონების დონეზე მოქმედი სსო-სთვის, რომლებიც იბრძვიან მდგრადი განვითარებისა და ფუნქციონირების შეუფერხებელი შესაძლებლობისთვის, როგორც ეს ფოკუს ჯგუფის შეხვედრებზე გაჟღერდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულება მათთვის, ვისაც რეგისტრაციის ოპერატიულად და წარმატებით დასრულება სურს, საჭიროებს დამატებით სამართლებრივი კონსულტაციის მიღებასა და იურიდიული ექსპერტების ჩართულობას, რაც ორგანიზაციისთვის დამატებითი ხარჯის გაწევას გულისხმობს. სწორედ ამ ნიშნით, რეგიონულ დონეზე მოქმედი, შედარებით დაბალი ბიუჯეტის მქონე სსო-ებისთვის მსგავსი ფინანსური წნეხი არის პრობლემური, რადგან მოცემული პირდაპირ გავლენას ახდენს საჭირო რეგისტრაციის პროცესების წარმატებით გავლის შესაძლებლობაზე.[17]

პირველ უფლებრივ სფეროსთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდაციები

- მარეგისტრირებელმა ორგანომ ააიპ-ების მხრიდან უნდა მოითხოვოს მხოლოდ იმგვარი პროცედურული მოთხოვნების შესრულება, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ააიპ-ებთან საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გაკეთებული მითითებების საფუძველზე და შინაარსობრივად მართლაც ეხება სსო-ებს.

- საქართველოს საჯარო რეესტრმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა დაინტერესებული სსო-ების რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებით სწრაფი, უსასყიდლო, მაგრამ მაღალი ხარისხის კონსულტაციების გაწევაზე. ეს კონსულტაციები ხელმისაწვდომი უნდა იყოს თავად იუსტიციის სახლებსა და სერვის ცენტრებში, სადაც სსო-ბის

[16] (რეგისტრაციის ფასი 200 ლარი (დაახ. 70 ევრო) 100 ლარიდან (დაახ. 35 ევრო) 2021 წელს. 400 ლარის ფასზე (დაახლოებით 140 ევრო), გაიზარდა 200 ლარიდან (დაახლოებით 70 ევრო) იმავე დღეს რეგისტრაციისთვის.

[17] განცხადების მხარდამჭერი კომენტარები აღებულია ფოკუს ჯგუფის შეხვედრიდან, რომელიც გაიმართა 2023 წლის 6 სექტემბერს

წარმომადგენლები შეძლებენ მიიღონ მხარდაჭერა მთელი პროცესის განმავლობაში და მიიღონ პასუხები დასმულ შეკითხვებზე. ეს უზრუნველყოფს, იმ სსო-თა მხარდაჭერას, რომლებსაც არ შეუძლიათ დამატებითი იურიდიული კონსულტაციებისთვის თანხის გადახდა. ამ მიზნებისათვის შეიძლება პირველ რიგში საჭირო გახდეს დამატებითი ტრენინგების ჩატარება თავად საჯარო რეესტრის რეგისტრატორებისთვის, ოპერატორებისთვის და შესაბამისი პერსონალისთვის.

3.2 თანასწორი მოპყრობა

ჯამური ქულა: **5,6/7**

კანონმდებლობა: **5,8/7**	პრაქტიკა: **5,3/7**

რამდენიმე გამონაკლისის გარდა, როგორიცაა დღგ-ს დაბრუნების უფრო ხელსაყრელი პირობები ბიზნეს სუბიექტებისთვის, ან, მეორე მხრივ, ნაკლებად მკაცრი მოთხოვნები სსო-ების მიმართ მათი სამართლებრივი სტრუქტურის განსაზღვრასთან მიმართებით, სსო-ები და კომერციული სუბიექტები თანასწორ სამართლებრივ რეჟიმში მყოფებად განიხილებიან. მოცემული გულისხმობს, რომ 2022 წლის საერთო ქულა, ისევე როგორც გასული წლების განმავლობაში შემუშავებული რეკომენდაციები ამ უფლებრივი სფეროს მიმართ უცვლელია.

სხვადასხვა ტიპის სსო-ების მიმართ განსხვავებული მიდგომის საკანონმდებლო საფუძვლები არ არსებობს, თუმცა, პრაქტიკაში, სახელმწიფოს მიმართ კრიტიკული სსო-ები განიცდიან ხელისუფლების ზეწოლას, მაშინ, როცა მსგავსი ტენდენცია არ შეინიშნება იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც არ აქტიურობენ მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენებზე კრიტიკულად რეაგირების თვალსაზრისით. შეჯამებისთვის, საანაგირშო პერიოდში არ მიღებულა რაიმე სახის საკანონმდებლო ცვლილება, რაც განაპირობებს 2023-2024 წლებშიც, უფლებრივი სფეროსთვის 2022 წელს მინიჭებული ქულების შენარჩუნებას და ადრინდელი რეკომენდაციების აქტუალობას, რომელთა შორისაც აღსანიშნავია დღგ-ს დაბრუნებისთვის მოქმედი საკანონმდებლო ვადების გაერთგვაროვნება.

აღსანიშნავია, რომ სსო-ებსა და კომერციულ სუბიექტებზე თანაბრად იმოქმედა რეგისტრირებული მონაცემების ცვლილებებთან დაკავშირებულმა წესებმა, რომლებიც დეტალურად არის აღწერილი პირველი უფლებრივი სფეროს ფარგლებში, რაც გულისხმობს კომერციულ და არაკომერციულ სექტორთან მიმართებით თანასწორი პირობების შენარჩუნებას.

თავის მხრივ, აშკარაა ისიც, რომ გაიზარდა ხელისუფლების წარმომადგენელთა რიცხვი, რომლებიც ხმამაღლა ესხმიან თავს სსო-ებს, რომლებიც საჯაროდ აკრიტიკებდნენ მთავრობას/ხელისუფლებას. სახელმწიფო ვალდებულია შეასრულოს ჯერ კიდევ 2022 წლის ანგარიშის ფარგლებში მითითებული რეკომენდაცია და გააქტიუროს პროცესზე ზედამხედველობის ინსტრუმენტები, რათა გამოავლინოს და გამოასწოროს

ხელისუფლების მხრიდან სსო-ების მიმართ არსებული, არასამართლიანი და უთანასწორო დამოკიდებულება.

საერთო ჯამში, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიმართ დაარსების, რეგისტრაციისა და მათი საქმიანობის ნიშნით სსო-ბის მიმართ არსებული მიდგომები თანასწორობის პრინციპზეა დაფუძნებული და არ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლები, რომელზე დაყრდნობითაც გამართლდება დისკრიმინაციული დამოკიდებულება/ქცევა.

1) სახელმწიფოს მხრიდან არ არის შექმნილი თანასწორი პირობები კომერციულ და არაკომერციულ სუბიექტებთან მიმართებით, დღგ-ს დაბრუნების დაშვებულ პერიოდთან დაკავშირებით.

ბიზნეს სუბიექტებისთვის დღგ-ის დაბრუნების შესახებ მოთხოვნის წაყენების ვადა ერთწლიანია, ხოლო სსო-ებს მოცემულისთვის დადგენილი აქვთ გაცილებით ნაკლები, სამთვიანი პერიოდი. ამ ნიშნით თანასწორი პირობების დადგენის მნიშვნელობა იზრდება, როდესაც მხედველობაში მიიღება ბოლოდროინდელი, საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებული ცვლილებები, რომლებიც ზღუდავს დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ანაზღაურებას/დაბრუნებას ორგანიზაციათათვის იმ პირობებში, როდესაც კონტრაქტორს უფიქსირდება ვადაგადაცილებული დავალიანება სახელმწიფოს მიმართ. სამთვიანი, შეზღუდული ვადები გამოწვევაა კონტრაქტორების მხრიდან არსებული სახელმწიფო ვალის ეფექტურად და ოპერატიულად გასტუმრების შეუძლებლობის პირობებში, რაც ამცირებს დღგ-ს დაბრუნების მიზნით, სსო-ების მიერ საჭირო პროცედურების დროულად განხორციელების ალბათობას.

2) ზოგიერთი სსო-ს მიმართ საბანკო ანგარიშების გახსნისას დაფიქსირებული არაერთგვაროვანი მოპყრობა გამოწვევად რჩება

პრაქტიკაში დაფიქსირებული ძირითადი მაგალითები, რომლებიც მიუთითებს არაერთგვაროვან მიდგომაზე გარკვეული სსო-ების მიმართ, უკავშირდება საბანკო ანგარიშების გახსნის მოთხოვნის მასობრივ უარყოფას ბელორუსული ორგანიზაციებისა და ბელარუსელი ფიზიკური პირებისთვის. ბოლოდროინდელი პრაქტიკა აჩვენებს, რომ ბანკები ასეთ განმცხადებლებს აკისრებენ დამატებით გადასახადს ინტენსიური მოკვლევის ჩასატარებლად და შემგომ, ძირითად შემთხვევაში, არ აკმაყოფილებენ საბანკო ანგარიშების გახსნასთან დაკავშირებულ მოთხოვნას. თავის მხრივ, ბანკები არ ასაბუთებენ თავიანთ გადაწყვეტილებებს და შემოიფარგლებიან ზოგადი განცხადებით, რომ მათი მიდგომა მოტივირებულია უკრაინაში განვითარებული მოვლენებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ბელორუსული და რუსული წარმომავლობის იურიდიული პირები/ფიზიკური პირები განიხილებიან მაღალრისკიან კლიენტებად. ზოგადად, ანგარიშის გახსნის ეტაპზევე, ბანკები ითხოვენ ორგანიზაციის კორპორატიული დოკუმენტების სრულად მოწოდებას, ასევე ორგანიზაციათა ბენეფიციარების პერსონალურ ინფორმაციას და სხვა დამატებით მონაცემებს, რათა კლიენტის პორტფელი შეესაბამებოდეს KYC სტანდარტებსა და AML-თან დაკავშირებით არსებულ ბანკის პოლიტიკას. ეს გაცილებით დიდ ძალისხმევას მოითხოვს უცხოურ იურისდიქციასთან დაკავშირებული მხარეებისთვის, შესაბამისად, პრაქტიკულად, უცხოური წარმომადგენლობებისთვის საქართველოში საბანკო ანგარიშების გახსნა ყოველთვის უფრო რთული პროცესია, ვიდრე ადგილობრივი სსო-

ებისთვის. თუმცა, როგორც ჩანს, ეს გამართლებულია იმით, რომ მოცემული მიდგომა აუცილებელია ლეგიტიმური მიზნების დასაცავად და შეესაბამება AML და CTF პრევენციის მიმართულებით მოქმედ სტანდარტებს.

მეორე უფლებრივ სფეროსთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდაციები:

- საქართველოს მთავრობამ უნდა შეცვალოს დღგ-ს დაბრუნებასთან დაკავშირებული საგადასახადო პროცედურები იმგვარად, რომ სსო-ებს საშუალება მიეცეს ისარგებლონ დღგ-ის დაბრუნების იგივე ვადით, რომლითაც სარგებლობენ კომერციული პირები.;
- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა მიიღოს კონკრეტული რეგულაციები და დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რათა გამორიცხოს დისკრიმინაციული მოპყრობის შესაძლებლობა და კომერციული ბანკების მხრიდან არათანაბარი მოპყრობის თითოეული შემთხვევა განპირობებული იყოს უპირატესი ლეგიტიმური მიზნის არსებობით
- სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს კონტროლის მექანიზმები, რათა გამოავლინოს და აღმოფხვრას არასამართლიანი და არაერთგვაროვანი მოპყრობა კონკრეტული, მთავრობასთან დაკავშირებული სსო-ების მიმართ.

3.3 დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა

ჯამური ქულა: **5,6/7**

კანონმდებლობა: **6.0/7**	პრაქტიკა: **5,1/7**

ითვლება, რომ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს (სსო) აქვთ წვდომა ადგილობრივ და საერთაშორისო, საჯარო და კერძო ტიპის ფინანსურ წყაროებზე, სხვადასხვა ფორმით. თუმცა, სახელმწიფოს მხრიდან „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტის მხოლოდ ინიცირებაც კი, საკმარისი იყო ქვეყნისთვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო დაფინანსების მოქმედი მექანიზმებისთვის საფრთხის შესაქმნელად. ამგვარ კანონმდებლობას ჰქონდა რეალური პოტენციალი, ხელი შეეშალა სსო-ების საერთაშორისო დონორების მხრიდან დაფინანსებისთვის, შეეზღუდა მათი ეფექტურობა და სსოთა ფინანსური თვითმყოფადობა. ვინაიდან მსგავსი შინაარსის რეგულაციების ხელახლა ინიცირების შესაძლებლობა სრულად არ არის აღმოფხვრილი, მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს მსგავსი ხასიათის კანონმდებლობამ საქართველოს სამოქალაქო ორგანიზაციების მდგრადობასა და ავტონომიაზე, ფინანსური ნიშნით.

უფლებრივი სფეროსთვის მინიჭებული საერთო ქულა შემცირებულია იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებული კანონპროექტით, იმ სსო-ებთან მიმართებაში რომლებიც საერთაშორისო დაფინანსების გზით იღებენ სახსრებს, ნეგატიური შინაარსის

რიტორიკაა განვითარებული. ამ ნიშნით, შეფასება, რომელიც 2022 წელს 5.3-ს შეადგენდა, საანგარიშო პერიოდში 5.1-მდე შემცირდა.

ამ სფეროს ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები ხაზს უსვამს იმ საჭიროებას, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობილმა ნეგატიურმა სოციალურმა დამოკიდებულებამ სსო-ებს არ შეუქმნას პრობლემა უცხოური თუ ადგილობრივი დაფინანსების წყაროების გამოყენების პროცესში.

1) სახელმწიფო ეწევა იმ ორგანიზაციათა სტიგმატიზებას, რომლებიც დაფინანსებას უცხოური წყაროებისგან იღებენ.

საქართველოს საკანონმდებლო ბაზა იძლევა შესაძლებლობას სსო-ების მხრიდან ფინანსური რესურსების სხვადასხვა ტიპის, საერთაშორისო, უცხოური თუ ეროვნული, საჯარო თუ კერძო დაფინანსების წყაროებისგან მიღების/გამოყენების, თუმცა ამ მხრივ დამკვიდრებულ სტაბილურ გარემოს საფრთხე შეუქმნა „უცხოური აგენტების" კანონპროექტის ინიცირებამ, ჯერ კიდევ 2023 წლის თებერვალში. მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტის ამოქმედება არ მოხდა, ხელისუფლების მიერ მსგავსი კანონპროექტის განხილვამ და მხარდაჭერამ მაინც მოახდინა გავლენა ორგანიზაციათა საარსებო გარემოზე. კერძოდ, სსო-ებს, განსაკუთრებით მათ, რომლებსაც ფინანსური მხარდაჭერა უცხოელი დონორების მხრიდან აქვთ მიღებული, მოუწიათ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში აქტიური ჩართვა, საკუთარი სოციალური იმიჯისა და პოზიციების დასაცავად ძალიან დიდი ოდენობის ფინანსური და ადამიანური რესურსების მობილიზება, რიგ შემთხვევაში, საქმიანობის ფორმის და მიზნების შეცვლაც, რამაც გამოწვევის სახით გააჩინა ამ პერიოდამდე აღებული პროექტების ფარგლებში შესასრულებელი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება და მოცემულ საკითხებთან დაკავშირებული აუცილებელი ცვლილებების დონორებთან შემდგომი შეთანხმება, რამაც, არსებულზე მეტად კომპლექსური გახადა დაფინანსების წყაროებთან ურთიერთობის პროცესიც.

2) სახელმწიფო პოსიურობს სამოქალაქო საზოგადოების დაფინანსების მექანიზმების განვითარების თვალსაზრისით.

ძლიერი და ფინანსურად მდგრადი სამოქალაქო საზოგადოებრივი სექტორის არსებობისთვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ გაატაროს შესაბამისი ზომები, რათა მხარი დაუჭიროს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და არარეგისტრირებული გაერთიანებების/კავშირების დაფინანსების წყაროების შემდგომ დივერსიფიკაციას.

მიუხედავად იმისა, რომ არსებული კანონმდებლობა ზოგადად იძლევა სსო-ების მიერ ფინანსური რესურსების მიპოვების შესაძლებლობას, არის რამდენიმე საკითხი, რომლის მოგვარებასაც სამოქალაქო სექტორი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცდილობს და რის მიმართაც სახელმწიფო ინარჩუნებს პასიურ პოზიციებს. კერძოდ, იმისათვის, რომ ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმწიფო გრანტები, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი გაცემა და განაწილება გამჭვირვალობის პრინციპზე დაყრდნობით, რა ნიშნითაც პროცესი ხარვეზიანია. სამოქალაქო სექტორი აქტიურად უჭერდა მხარს სახელმწიფო გრანტების განაწილების გამჭვირვალობის ინსტიტუციონალიზაციას, თუმცა, თემაზე მოლაპარაკების პროცესი შეწყდა წლის დასაწყისში, „უცხოური აგენტების შესახებ კანონპროექტის ინიცირების გამო, რამაც, თავის

მხრივ განაპირობა კერძო-საჯარო თანამშრომლობის შეწყვეტა და ამ მიმართულებით აქტიური, რმხრივად მომგებიანი პროექტების (მათ შორის OGP ფორმატის) შეჩერება.

აღსანიშნავია ისიც, რომ დღემდე არ არსებობს სსო-ების ინდივიდუალური და კორპორატიული სექტორის მხრიდან მხარდაჭერის წამახალისებელი მექანიზმები, არ ფუნქციონირებს რაიმე სახის საგადასახადო შეღავათები რომლებიც გაზრდის სსო-თა დაფინანსების მოტივაციას. მოცემული საკითხიც განიხილებოდა OGP-ის გამჭვირვალობის ინიციატივის ფარგლებში, თუმცა არც მოცემულს მოჰყოლია რაიმე სახის განვითარება.

მესამე უფლებრივ სფეროსთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდაციები:

• მთავრობამ თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი კანონის ან რეგულაციის მიღებისგან, რომელიც უკანონოდ ზღუდავს დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას, მათ შორის უცხოური დაფინანსების მექანიზმებზე ხელმისაწვდომობას.

სახელმწიფომ უნდა აღიაროს და მხარი დაუჭიროს სსო-ებისა და არარეგისტრირებული გაერთიანებების დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას, მათ შორის ფილანტროპიის ხელშეწყობით, სოციალური მეწარმეობის კონცეფციის აღიარების გზით და ა.შ. და მოცემული პრაქტიკაში აღსასრულებლად დააწესოს აუცილებელი საკანონმდებლო გარანტიები.

3.4 მშვიდობიანი შეკრების უფლება

ჯამური ქულა: **4,5/7**

კანონმდებლობა: **5,2/7**	პრაქტიკა: **3,8/7**

საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულია მშვიდობიანი შეკრების საზოგადო უფლება. ამის პარალელურად, საქართველოში მოქმედებს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, რომელიც ადგენს დემონსტრაციების ორგანიზებასთან დაკავშირებულ ძირითად პრინციპებსა და ორგანიზატორთა დაკავშირებულ ვალდებულებებს. საქართველოს კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას გაიმართოს როგორც დაგეგმილი, ისე სპონტანური ტიპის შეკრებები და დემონსტრაციები, ასევე შეკრება განხორციელდეს როგორც შიდა, ისე გარე სივრცეში. მშვიდობიანი შეკრების უფლება არ არის აბსოლუტური და ის შეიძლება შეიზღუდოს კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითად, საქართველოს კანონი ზღუდავს დემონსტრაციას ოცი მეტრის რადიუსში გარკვეული სამთავრობო და სამხედრო შენობებიდან, შეზღუდვა ასევე ვრცელდება რკინიგზის სადგურების, აეროპორტებისა და პორტების ტერიტორიაზე. კანონმდებლობა სრულფასოვნად ჯერ კიდევ ვერ არეგულირებს სპონტანური შეკრებების საკითხს, გარდა ამისა, არ ითვალისწინებს ვენეციის კომისიის რეკომენდაციას იმასთან დაკავშირებით, რომ შეიცვალოს შეტყობინების 5 დღიანი ვადა, თუ შეკრება ტარდება ტრანსპორტის სავალ გზაზე ან/და რაიმე ნიშნით აფერხებს ტრანსპორტის მოძრაობას.

თუმცა, მოცემულს პრაქტიკაში ხელი არ შეუშლია სპონტანური შეკრების უფლების რეალიზების თვალსაზრისით.

მიუხედავად სამართლებრივი გარანტიებისა, პრაქტიკაში კვლავ რჩება რამდენიმე საკვანძო საკითხი, რომლებიც მოსაგვარებელია. მათ შორისაა მშვიდობიანი აქტივისტების უკანონო დაპატიმრების პრაქტიკა, „უცხოელი აგენტების კანონის" პროტესტთან დაკავშირებული მოვლენები და ლგბტქ+ პირთა შეკრების უფლებასთან დაკავშირებული საკითხები. იმის გათვალისწინებით, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არაერთხელ გამოვლინდა უკანონო დაკავებების შემთხვევები, უფლებრივი სფეროს პრაქტიკის მიმართულებით შეფასების ქულა 3,9-დან 3,8-მდე შემცირდა, რამაც 0,1 ერთეულით (4,6-დან 4.5-მდე) შეამცირა ჯამური ქულაც. ამასთან, აღსანიშნავია „შეკრებებისა და მანიფესტაციების" კანონში ახლად ინიცირებული ცვლილებები, რომლითაც შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეებს დემონსტრაციის დროს ეკრძალებათ დროებითი კონსტრუქციების „აშენება". მოცემული აკრძალვა შემზღუდველია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის. თუმცა იმის გამო, რომ ცვლილებები ჯერ არ არის მიღებული, კანონმდებლობის მიმართულებით სფეროსთვის მინიჭებული ქულა უცვლელი რჩება.

1) სამართალდამცავი ორგანოები ახორციელებენ მშვიდობიანი საპროტესტო აქციების დროს აქტივისტების უკანონო დაკავებას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც ერთადერთია საბჭოთა კავშირის დროიდან შემორჩენილ კანონთა შორის, დღემდე მოქმედებს, როგორც საპროტესტო აქციაში მონაწილე პირთა დაკავების უპირველესი ინსტრუმენტი. კოდექსის დებულებები ხშირად ბუნდოვანია, რაც ქმნის სივრცეს თვითნებური გადაწყვეტილების მისაღებად. მაგალითად, წვრილმანი ხულიგნობის ცნება ხშირად გამოიყენება მომიტინგეების მხრიდან აზრის ვერბალური გამოხატვის ფორმების შეზღუდვის მიზნით, თუ გამოხატვის კონკრეტული ფორმა მიუღებელია საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის, მაშინაც კი, თუ იგი არ ფასდება როგორც სხვათა დაპირისპირებული უფლების შემლახველი.[18]

წინა წლის მსგავსად, მშვიდობიანი შეკრების უფლების დარღვევის პრაქტიკული მაგალითები ამ საანგარიშო პერიოდშიც გამოვლინდა.[19] 2023 წლის 2 ივნისს ადვოკატი შოთა თუთბერიძე და ერთ-ერთი სსო-ს ხელმძღვანელი, ედუარდ მარიკაშვილი დააკავეს საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, რუსეთის მოქალაქეებისა და ტურისტების მიმართ მთავრობის პოლიტიკის შესახებ მშვიდობიანი აქციის დროს, პროცესში ანტისამთავრობო შინაარსის ბანერის გაშლის გამო. მშვიდობიან აქციაზე ბანერის გაშლის მიზეზით პირის დაკავება პოლიციის მოქმედების საკონსტიტუციო ფარგლებს სცილდება. სამართალდამცავების მიერ უფლებამოსილების ამგვარი დემონსტრირება ზიანს აყენებს გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებას და არ შეესაბამება ქვეყანაში

[18] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი Art 166. https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216

[19] დაკავებებისა და მშვიდობიან შეკრებებში ჩარევის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ (საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე) https://www.ombudsman.ge/eng/saparlamento-angarishebi

მოქმედ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს, ძირს უთხრის სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპს, კიდევ უფრო აუარესებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მდგომარეობას პრაქტიკაში, რა ნიშნითაც სულ უფრო და უფრო უარესდება ქვეყანაში არსებული სიტუაცია.[20] ანალოგიური განმეორდა მოვლენების შემდგომ დღეებში ბათუმში, ერას მოედანზე გამართულ აქციაზე, რომელიც მიზნად ისახავდა სოლიდარობის გამოცხადებას თბილისში დაკავებული უფლებადამცველებისთვის, რა დროსაც ადმინისტრაციულად დააკავეს კიდევ ექვსი პირი, მათ შორის ორი არასრულწლოვანი.[21]

მშვიდობიანი საპროტესტო აქციების მონაწილე აქტივისტების დაკავების რიცხვი გაიზარდა საქართველოში რუსი ტურისტების შემოდინების პარალელურად, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილი აქტიურად აპროტესტებდა რუსეთის მოქალაქეების თავისუფალ შემოდინებას ქვეყანაში, რომლებიც, თავის მხრივ, მხარს უჭერენ უკრაინაში მიმდინარე ომს, ან საქართველოს ოკუპაციას. 2023 წლის 20 მაისს საჯარო წყაროებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის ქალიშვილი, თანმხლებ სტუმრებთან ერთად საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება. აღსანიშნავია, რომ ლავროვი და მისი ოჯახი სანქცირებული პირების სიაში ხვდებიან ვლადიმერ პუტინთან ერთად. სამოქალაქო აქტივისტებმა, მითითებული პირების განთავსების ტერიტორიაზე, ყვარლის ტბის მიმდებარედ, საპროტესტო აქცია გამართეს. სასტუმრო ყვარლის ტბის შესასვლელთან მობილიზებული იყვნენ სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლები, 12:07 საათზე გავრცელებული ინფორმაციით კი, ყვარლის მიმართულებით წყლის რეაქტიული მანქანები და პოლიციის კოლონები დაიძრნენ, რათა ხელი შეეშალათ საპროტესტო აქციებისთვის. იმ დღეს 10-მდე აქტივისტი დააკავეს, ხოლო მოვლენების აღმწერ კადრებში ჩანს პოლიციის მიერ, საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე დაკავებული პირების მიმართ დამამცირებელი მოპყრობის ფაქტები.[22] ანალოგიურად, 2023 წლის 31 ივლისს, ბათუმში რუსული საკრუიზო გემის ჩამოსვლას სახალხო პროტესტი მოჰყვა. პოლიციამ ამჯერადაც არ დაიცვა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება და აქციის მონაწილეებს პროტესტის მშვიდობიანი ფორმით გამოხატვის საშუალება არ მისცა. პოლიციამ აქტივისტთა ფიზიკური შეფერხების პარალელურად, ადმინისტრაციული

[20] იხილეთ: „ბანერის გაშლისთვის პირთა დაკავება უკანონოა და ძირს უთხრის კონსტიტუციურ პრინციპებს“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი. 03.06.23. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DKYQlh

[21]უფლებადამცველების დაკავების ფაქტებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ეხმაურებიან. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი. 03.06.23 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DKYQlh

[22] იხილეთ საიას განცხადება ყვარელში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 20.05.23. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3YqH6VP

წესით დემონსტანტთა დაკავების ჩვეული პრაქტიკაც გამოიყენა. დაკავებულთა რაოდენობა 20-ზე მეტი იყო.[23]

2 ოქტომბერს „შეკრებებისა და მანიფესტაციების“ კანონში ახალი ცვლილებების ინიცირება მოხდა. ცვლილებებით, შეკრებისა და აქციის მონაწილეებს აქციის დროს დროებითი კონსტრუქციების აშენება ეკრძალებათ. ინიცირებული ცვლილებების მიზანია სამოქალაქო უფლებების კიდევ უფრო შეზღუდვა, რაც გამოიწვევს ქვეყანაში თავისუფალი აზრის გამოხატვისთვის გათვალისწინებული სივრცის შეზღუდვას. შედეგად, ეს პირდაპირ აისახება ქვეყნის დემოკრატიის ხარისხზე, შესაბამისად, ხალხის კეთილდღეობაზე.[24] ცვლილებებს ვეტო დაედო პრეზიდენტის მიერ[25]

2) უცხოური აგენტების შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებული პროტესტის დროს სამართალდამცაბთა მიერ ძალის გადამეტება.

საპროტესტო ტალღა განსაკუთრებით მაშინ გაიზარდა საქართველოში, როდესაც შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტების მიერ დაიწყო „უცხოური აგენტების შესახებ კანონის“ ორივე ვერსიის განხილვა. კანონპროექტის განსახილველად წარდგენისთანავე, სსო-ებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა დაიწყეს კანონპროექტის საწინააღმდეგო კამპანიებისა და საპროტესტო აქციების ორგანიზება. კანონის განხილვისას მომიტინგეებმა, ახალგაზრდებმა, სტუდენტებმა და სამოქალაქო აქტივისტებმა, წამყვანი სსო-ების ხელმძღვანელობით, საკითხი გააპროტესტეს პარლმანეტთან, არაძალადობრივი, მშვიდობიანი გზით. პროტესტი გრძელდებოდა მანამ, სანამ არ დასტულდა პარლამენტის ბიუროს სამიტი (2023 წლის 7 მარტს) და სამართლებრივ საკითხთა დასკვნითმა კომიტეტმა არ მიიღო გადაწყვეტილება კანონპროექტის მიღებისა და საჯარო განხილვის პროცესის გაგრძელების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პირველი საპარლამენტო მოსმენა იგეგმებოდა 2023 წლის 9 მარტს, მოსმენა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნის გამოტანის დღესვე, საზოგადოების წინასწარი შეტყობინების გარეშე დაინიშნა. შედეგად, მოხდა დემონსტრანტების სწრაფი შეკრება პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, რათა გაგრძელებულიყო საპროტესტო აქციები. შემოთავაზებულ კანონპროექტს პირველ მოსმენაზე მხარი 76-მა პარლამენტარმა (89-დან) დაუჭირა. ამასობაში მომიტინგეებს, რომლებიც მშვიდობიანი ფორმით გამოხატავდნენ პროტესტს, ძალოვანი სტრუქტურები დაუპირისპირდნენ ცრემლსადენი გაზის, წყლის ჭავლის გამოყენებით, ადგილი ჰქონდა

[23] ადმინისტრაციული წესით პატიმრობის პრაქტიკა არღვევს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 01.08.2023 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OrjHPl

[24] იხილეთ საიას განცხადება „სამოქალაქო უფლებების შეზღუდვის მზარდი ტენდენცია გრძელდება ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით“. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 02.10.23. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3Qlj7zp

[25] პრეზიდენტმა „შეკრებებისა და მიტინგების შესახებ“ კანონში ცვლილებებს ვეტო დაადო. Interpressnews.ge. 17.10.2023 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/49gymqq

მონაწილეთა ფიზიკურ დაზიანებასა და მასობრივ დაპატიმრებებს.[26] 8 მარტს დაფიქსირდა დემონსტრაციების კიდევ ერთი, უფრო დიდი ტალღა, რასაც მოჰყვა პოლიციის მიერ მომიტინგეებზე არაერთჯერადი, სასტიკი ფორმის თავდასხმები, მათ შორის ცრემლსადენი გაზის ბომბების გამოყენება და რეზინის ტყვიების ხალხისკენ დამიზნებით მიმართვა. მიუხედავად იმისა, რომ პროცესში დაიმსხვრა პარლამენტის შენობის მინები და მომიტინგეებმა სცადეს პარლამენტის ბარიკადების გადაკვეთა, პოლიციის მიერ გამოყენებული არცერთი ქმედება არ იყო პროპორციული.[27] ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ პროტესტის პერიოდში დაკავებულ პირებსა და მათ უფლებადამცველებს, პრობლემები ექმნებოდათ როგორც პირთა ადმინისტრაციული დაკავების მომენტში, ასევე სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს. ადვოკატებისა და ოჯახის წევრებისთვის რთულ მისიას წარმოადგენდა დაკავებული პირების ადგილმდებარეობის დადგენა და, შესაბამისად, დაკავებულების მდგომარეობის შესახებ სწორი ინფორმაციის მოპოვება. დაკავებულები საქართველოს მასშტაბით იზოლირებულ საკნებში იყვნენ განაწილებულები, რის გამოც ადვოკატებს დაკავებულებთან შეხვედრა გაუჭირდათ. ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტრო დაკავებულებს, ძირითადად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ტოვებდა იზოლაციაში მაქსიმალური ვადით.[28]

დაკავებულთა საქმის განხილვისას, გამართული სასამართლო სხდომები რიგი პროცედურული შეცდომის გამო, არაორგანიზებულად ტარდებოდა, თუმცა, ამის მიუხედავად, უფლებადამცველების დახმარებით, ბევრი ადამიანის საქმე გათავისუფლებით დასრულდა. ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეფარდებია არც ერთ დაკავებულ პირს, რომლებსაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები იცავდნენ. ამასთან, გაფრთხილება გამოიყენეს 18 დაკავებულის მიმართ, ნაწილობრივი გაფრთხილების ცნობა გაიცა 3 პირზე, ხოლო 31 ინდივიდი დაჯარიმდა.[29]

3) სამართალდამცავები კვლავ ვერ იცავენ მოწყვლადი ჯგუფების წარმოამდგენელთა უფლებებს მოძალადეობრივი ჯგუფების ზეგავლენისგან.

სახელმწიფო ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს ლგბტქ+ პირებისა და აქტივისტების უფლებას, სხვა ნებისმიერ პირთა მსგავსად, სრულფასოვნად ისარგებლონ შეკრების

[26] ხალხი რუსეთის კანონის წინააღმდეგ; 7-9 მარტის „ხალხი რუსეთის კანონის წინააღმდეგ“ აქციის ფაქტების შეფასება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი. 30.10.23 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/49lvx7g

[27] მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის წინააღმდეგ პოლიციამ გამოიყენა უკანონო და არაპროპორციული ძალა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტების ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 08.03.23, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qkxM9u ; საქართველო: მასობრივი საპროტესტო აქციების შემდეგ, მმართველმა პარტიამ უცხოელი აგენტების შესახებ კანონპროექტი გაითხოვა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/43ZazHH

[28] არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება 2023 წლის 2-3 და 7-9 მარტს დაკავებულთა საქმეების შესახებ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 21.03.23 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3QpKEWx

[29] არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება 2023 წლის 2-3 და 7-9 მარტს დაკავებულთა საქმეების შესახებ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 21.03.23 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3QpKEWx

თავისუფლებით. 2023 წელს, ე.წ „პრაიდის“ ფესტივალი დაგეგმილი იყო დახურული ღონისძიების ფორმით, რომელიც ორგანიზებული იყო Tbilisi Pride-ის მიერ, 8 ივლისს. 7 ივლისს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება „თბილისი პრაიდის“ კვირეულის ფარგლებში გამოცხადებული 8 ივლისის ღონისძიებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაანონსებული დახურული ღონისძიების მშვიდ ვითარებაში ჩატარების მიზნით, ყველა საჭირო ადგილას მობილიზებული იქნებოდა პოლიციის შესაბამისი ქვედანაყოფები, რომლებიც დაიცავდნენ წესრიგს და ადგილზე მყოფ პირთა უსაფრთხოებას თავიანთი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში. ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფორმირებული იყო ექსტრემისტული ძალადობრივი ჯგუფების მიზნებთან დაკავშირებით, „თბილისი პრაიდის“ ღონისძიების ძალადობრივი მეთოდებით დარბევასთან დაკავშირებით, (იხ. მაგალითად, ზურაბ მახარაძის გამოსვლა),[30] შეკრებილ კონტრდემონსტრანტებს მიეცათ ლისის ტერიტორიამდე (სადაც იმართებოდა პრაიდის ღონისძიება) თავისუფლად გადაადგილების საშუალება. ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მათ, მობილიზებული სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლების მხრიდან რაიმე სახის დაბრკოლება არ შეხვედრიათ. მსგავსმა ჯგუფებმა თავისუფლად შეძლეს პოლიციის კორდონის გარღვევა და ლისის მთავარი შესასვლელისკენ გადაადგილება. საკითხთან დაკავშირებული საიას მიერ გაკეთებული შეფასება მიუთითებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარე ადეკვატურად ვერ აზღვევდა მოძალადე ჯგუფების მიერ შექმნილ რისკებს. 2000-ზე მეტი ანტი ლგბტქ+ დემონსტრანტი შეიჭრა ფესტივალის ტერიტორიაზე, ორგანიზატორები კი იძულებულნი გახდნენ გაეუქმებინათ ღონისძიება და პოლიციასთან ერთად ევაკუირებულიყვნენ შენობიდან.[31]

უნდა აღინიშნოს, რომ აღწერილი მოვლენების ფარგლებში, ისევე, როგორც 2021 წლის 5 ივლისის მოვლენების შემთხვევაში, სახელმწიფოს არ შეუსრულებია მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა დაეცვა მოსახლეობა ექსტრემისტული ჯგუფების თავდასხმისგან.[32]

მეოთხე უფლებრივ სფეროსთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდაციები:

- სახელმწიფომ უნდა მიიღოს ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც იქნება ადამიანის ძირითად უფლებებთან შესაბამისობაში.

[30] შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს ტოლერანტული პოლიტიკის გატარებას ძალადობრივი ჯგუფების მიმართ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 08.07.2023, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OOqgNG

[31] შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს ტოლერანტული პოლიტიკის გატარებას ძალადობრივი ჯგუფების მიმართ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 08.07.2023, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OOqgNG

[32] 2021 წლის 5-6 ივლისს მომხდარი მოვლენები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გამოძიებული, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებ-გვერდი ხელმისაწვდომია https://bit.ly/44Z4hZM

- სახელმწიფომ ურყევად უნდა დაიცვას მშვიდობიანი შეკრების უფლება, კანონიერი ფორმების გამოყენებით გაუმკლავდეს საჯარო პროტესტს, შევიდეს მოლაპარაკებაში საზოგადოებასთან და შეზღუდოს პოლიციის გადამეტებული რეაგირების შემთხვევები აქციებზე;
- - ყველა საქმე, რომელიც ეხება სამართალდამცავების მიერ დემონსტრა-ციების დროს უფლებამოსილების გადამეტებას, დაუყოვნებლივ, მიუ-კერძოებლად და ობიექტურად უნდა გამოიძიოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ;
- - საქართველოს პარლამენტმა უნდა შეცვალოს ეროვნული კანონმდებლობა ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად და უკეთ დაარეგულიროს სპონტანურ შეკრებასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, უნდა დადგინდეს გამონაკლისი თვითმმართველობის ორგანოს ადრეული გაფრთხილების ზოგადი წესიდან და მშვიდობიანი შეკრებე-ბისა და დემონსტრაციების მონაწილეებს უნდა მიეცეთ საშუალება გადაკეტონ გზატკეცილი შეტყობინების გარეშე მაშინ, როდესაც შესაბა-მისი ორგანოების წინასწარი გაფრთხილება შეუძლებელია;

3.5 გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება

ჯამური ქულა: **4,8/7**

კანონმდებლობა: **5,3 /7**	პრაქტიკა: **4,2/7**

გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობა დემოკრატიული საზოგადოების შექმნის პროცესში გადამწყვეტია, ჯერ კიდევ იმ ეპოქიდან მოყოლებული, როდესაც ხაზი გაესვა „კარგი მმართველობის“ პრინციპების მნიშვნელობას საჯარო მართვის პროცესშ. საკანონმდებლო სისტემამ აღიარა ეს ფუნდამენტური უფლება, მაგრამ თეორიაში მოქმედი დებულებების ეფექტური და შინაარსიანი გამოყენების პრაქტიკული შემთხვევები არ ფიქსირდება. „უცხოური აგენტების“ შესახებ კანონპროექტის ინიცირების პროცესმა, დაკავშირებული მოვლენებისა და შედეგების ხარჯზე, არსებითი გავლენა მოახდინა უფლებრივ სფეროზე, რამეთუ გამოიწვია საჯარო უწყებებთან თანამშრომლობით პროცესებში საზოგადოებრივი სექტორის ჩართულობის ხარისხის მკვეთრი შემცირება, რაც პოტენციურად შეზღუდავს სამოქალაქო სექტორის უნარს ჩაერთოს პოლიტიკური/საჯატო გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. მოცემულმა გამოიწვია 2023 წლის მოცემულობით, პრაქტიკული კომპონენტის მიმართულებით ქულის შემცირება 4,3-დან - 4,2-მდე, თუმცა, საერთო ქულა იგივე რჩება, რაც სფეროსთვის განისაზღვა 2022 წელს.

ამ უფლებრივი სფეროს ფარგლებში, 2021 წლიდან მოყოლებული ფიქსირდებოდა რიგი, პოზიციტური შინაარსის მოვლენები, რომლებიც სსო-ების მხრიდან გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობის ხარისხის ზრდაში გამოიხატა. წინადმებარე საანგარიშო პერიოდში მიმდინარე მოვლენებმა კი უფლებრივი სტანდარტის რეალიზების თვალსაზრისით, ფაქტობრივად, საწყის წერტილში დააბრუნა პროცესი.

1) გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობისთვის საჭირო პრაქტიკული მექანიზმების გამოყენების შემაფერხებელი გარემოებები.

საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს სსო-ების მონაწილეობას საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობის პირობებში, ასევე მუნიციპალურ დონეზე. უფლების რეალიზების პრაქტიკული მექანიზმები მოიცავს პეტიციების (როგორც მატერიალური, ასევე ციფრული), სისტემას, შემოთავაზებული/ინიცირებული კანონპროექტების განხილვისა და კომენტირების შესაძლებლობას, პარლამენტის სესიებზე დასწრებისა და კომიტეტის სხდომებზე საუბრის შესაძლებლობას. მოცემული სტანდარტების შემუშავებას მხარი დაუჭირეს ევროკავშირის წარმომადგენლობითმა ინსტიტუტებმა, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მაღალ მაჩვენებელს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა ეტაპზე, განიხილავდნენ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების აუცილებელ წინაპირობად.

თუმცა, პრაქტიკული მაგალითები აჩვენებს, რომ იმგავრ კანონპროექტა უშუალო განხილვისა და ინიცირების პროცესი, რომლებიც პირდაპირ და უარყოფითად აისახება სამოქალაქო სექტორზე, ხდება მიზნობრივ ჯგუფთან ყოველგვარი კონსულტაციების წარმოების გარეშე, რა დროსაც პარლამენტის მიერ საკითხის მხარდაჭერა საერთოდ არ არის დამოკიდებული შესაბამისი ჯგუფების პროცესში მონაწილეობაზე. მოცემული შემთხვევის ნათელი მაგალითია, „უცხოური აგენტების კანონპროექტი“, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თეორიული გარანტიების პრაქტიკაში რალიზაცია უფლებრივი სფეროს ფარგლებში ყველაზე დიდი გამოწვევაა.

უცხოური აგენტების შესახებ შემოთავაზებული კანონპროექტის განხილვის შემდეგ, სახელმწიფოს მიერ არ გადადგმულა ნაბიჯები, რომლებიც მოემსახურებოდა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან ურთიერთობის აღდგენას. მაგალითისთვის, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, გამოირიცხა სსო-ის ჩართულობა საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების ეროვნული ანგარიშის მიღების პროცესში. ისეთმა მექანიზმებმაც კი, როგორიცაა ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP), რომლებიც საშუალებას იძლეოდა კონკრეტული, შედეგზე ორიენტირებული ფორმით გაუმჯობესებულიყო სსო-თა საარსებო გარემო, დაკარგეს ძალა მყისიერად, არადემოკრატიული შინაარსის კანონპროექტის ინიცირების მიზეზით სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ დროებით პროცესში მონაწილეობაზე უარის გაცხადებისთანავე,[33] რაც ამ მიმართულებით სექტორის წარმომადგენლების მიერ, შესაბამისი განცხადებისა და ოფიციალური წერილის მომზადებით დასრულდა. განცხადებაზე ოფიციალური პასუხის მიღების პერიოდად 2024 წლის აპრილის პერიოდია განსაზღვრული, რაც გამოაჩენს მოვლენათა განვითარების მიმართულებას. თუმცა, ამ ეტაპამდე, არ ფიქსირდება სხვა რაიმე სახის განვითარება OGP-ის სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით.[34] იმის გათვალისწინებით, რომ OGP არის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სექტორთაშორისი თანამშრომლობის

[33] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, სსო განცხადება: საქართველოს მთავრობა უხეშად არღვევს ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) პრინციპებს https://bit.ly/3tqE0pK

[34] OGP რეაგირების საქმე საქართველოში https://www.opengovpartnership.org/ogp-response-policy/response-policy-case-georgia/

მექანიზმი, რომლის შექმნაც თავის მხრივ კერძო-საჯარო პარტნიორობის მაგალითზე მოხდა, ეს შემთხვევა სსო-ებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის სივრცის შეზღუდვის აშკარა და პირდაპირი ილუსტრაციაა. ადგილობრივი სსო-ების სახელით, ფოკუს ჯგუფში მონაწილე წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ თანამშრომლობით ნაწილში მდგომარეობა გაუარესდა მუნიციპალურ დონეზეც, რადგან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მიჰყვებოდნენ ცენტრალური ხელისუფლების ნარატივს და მათ მსგავსად აფერხებდნენ სექტორის წარმომადგენელთა პროცესებში მონაწილეობასა და ჩართულობას.[35]

2) სახელმწიფოს წარმომადგენლები კანონით არ არიან ვალდებულნი დანერგონ პრაქტიკაში ეფექტური მონაწილეობის მექანიზმები, რაც ნეგატიურად აისახება პრაქტიკაზე

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ შეიმუშავა ზოგადი ინსტრუქციები საჯარო კონსულტაციებისთვის, პრაქტიკაში გამოვლენილი ბარიერების უმრავლესობა იქმნება მკაფიო, კონკრეტული მითითებების არარსებობის შედეგად, რაც სიცხადეს უნდა უზრუნველყოფდეს მონაწილეობის წესთან, ვადებთან და პირობებთან დაკავშირებით. ერთ-ერთმა თვალსაჩინო ბარიერმა, კერძოდ, კანონპროექტების შემუშავების ადრეულ ეტაპებზე პროცესში ჩართვის შეუძლებლობამ (განსაკუთრებით, კანონპროექტთა დაჩქარებული წესით მიღებისას), ხელი შეუწყო სსო-ების ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნას ისეთ არსებით საკითხებთან/ცვლილებებთან მიმართებით, რომლებიც მათი არსებობისთვის გადამწყვეტია. ეს შემთხვევა დადგა „უცხოური აგენტების შესახებ კანონპროექტთან“ დაკავშირებით და მას შემდეგ, ვინაიდან სექტორებს შორის ურთიერთობა არ აღდგენილა, არ ფიქსირდება პროცესებში სამოქალაქო სექტორის ჩართულობის მაღალი ხარისხი, როგორც ეს დადასტურდა კვლევის ფარგლებში გამართული დისკუსიებით/ინტერვიუებით.

რაც შეეხება ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკების შეფასების ეროვნულ დოკუმენტს, კანონპროექტების ირგვლივ განვითარებული მოვლენების შემდეგ, ფინანსური მონიტორინგის სააგენტომ აცნობა სსო-ებს, რომ სააგენტო გააგრძელებდა რისკის შეფასებას დოკუმენტის შემუშავებას მათი და/ან სექტორის მიერ შემოთავაზებული საერთაშორისო ექსპერტის ჩართვის გარეშე, თუმცა სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს დაპირება, რომ სსო-ები ჩაერთვებოდნენ დოკუმენტის საჯარო განხილვებში მის საბოლოო დასრულებამდე. მოცემული მნიშვნელოვანია, რადგან მსგავსი ტიპის ინსტრუმენტები შეიძლება გამოყენებული იყოს სსო-ების დამატებითი, არაპროპორციული შეზღუდვის მიზნით.

გარდა ამისა, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის/პასუხის უსაფუძვლოდ გაჭიანურების გავრცელებული ტენდენცია, ასევე ბუნდოვანება/საჭირო ინფორმაციის ნაკლებობა საჯარო განხილვის დამაანონსებელ განცხადებებში, აფერხებს არა მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობას, არამედ პროაქტიულ და ეფექტურ პროტესტსა და წინააღმდეგობას, როდესაც ეს შესაძლებელი და

[35] განცხადების მხარდამჭერი კომენტარები აღებულია ფოკუს ჯგუფის შეხვედრიდან, რომელიც გაიმართა 2023 წლის 6 სექტემბერს

რელევანტურია. IDFI-ის მიერ გამოაქვეყნებულ ანგარიშში, რომელიც ადასტურებს ზემოხსენებულ ტენდენციას, მიეთითება, რომ 2022-2023 წლებში საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების ძალიან დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება. 2023 წლის პერიოდში, 5 თვის ვადაში, IDFI-მ, საჯარო ორგანოებთან გაგზავნილ 1255 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილზე, მხოლოდ 94 საპასუხო ინფორმაცია მიიღო. (7%). ამის საპასუხოდ, 2023 წლის 2 ივნისს, IDFI-მ ერთდროულად მოამზადა და გაგზავნა უპრეცედენტო რაოდენობის, 89 ადმინისტრაციული საჩივარი (12 სამინისტრო/სახელმწიფო მინისტრების აპარატის სახელზე და 77 დაქვემდებარებული უწყებების სახელზე).[36]

მეხუთე უფლებრივი სფეროს ფარგლებში გაცემილი კონკრეტული რეკომენდაციები:

- საქართველოს მთავრობამ უნდა შეიმუშაოს და მიიღოს ერთიანი სტან-დარტები/წესები კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების საჯარო კონსულტაციების შესახებ ეროვნულ დონეზე, მათ შორის, მკაფი-ოდ განსაზღვროს მონაწილეობა, როგორც სავალდებულო ეტაპი დადგე-ნილებების, კანონპროექტების, სტრატეგიული დოკუმენტების შემუშა-ვების პროცესში, ასევე დანერგოს სხვა, მსგავსი ტიპის ინსტრუმენტები და შექმნას დარღვევის შემთხვევებში საქმის გამოსწორების ქმედითი მექანიზმები.
- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ჩართულობა კანონპროექტებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნის ყველაზე ადრეულ ეტაპზე, ასევე დაამკვიდროს მიღებულ მოსაზრებებსა თუ რეკომენდაციებზე უკუკავშირის გაცემის პრაქტიკა.
- სახელმწიფომ უნდა აღმოფხვრას საკანონმდებლო და პრაქტიკული ბარიერები, რომლებიც ზღუდავს ეფექტურ მონაწილეობას როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე (მაგ., შესვლისას საშვის მოთხოვნისა და მიღების პროცედურის გამარტივება, საკმარისი სივრცი-სა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა მონაწილეობისთვის და ა.შ.) და მხარი დაუჭიროს ადგილობრივ ხელისუფლებას მონაწილეობისა და ინფორმაციის გამოქვეყნების ციფრული ინსტრუმენტების განვითარე-ბაში
- მთავრობამ და სხვა სახელისუფლებო ორგანოებმა უნდა აღასრულონ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ვალდებულებები და მიყვნენ ამ მხრივ გათვალისწინებულ გარანტიებს იმისთვის, რომ საზოგა-დოებრივმა ორგანიზაციებმა დროულად მიიღონ ამომწურავი ინფორმა-ცია მოთხოვნილ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის სადავო და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ქვეშ მოქცეული თემების შესახებ.

[36] IDFI, საჯარო ინფორმაციაზე წვდომის ხარისხის მკვეთრი ვარდნა https://idfi.ge/ge/sharp_decline_in_access_to_public_information

3.6 გამოხატვის თავისუფლება

ჯამური ქულა: **4,9/7**

კანონმდებლობა: **5,6 /7**	პრაქტიკა: **4,1/7**

გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობით. აქედან გამომდინარე, პირები სარგებლობენ ამ ფუნდამენტური უფლებით, მათ შორის ონლაინ კომუნიკაციებში.[37] კანონმდებლობის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლების დაცვისადმი საქართველოს სახელმწიფოს მიდგომა ყველაზე პროგრესულად ითვლება კავკასიაში.[38] ამ მაღალი სტანდარტის ჩამოყალიბებაში, შესაბამის კანონებთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ.[39] სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ „თავისუფალი საზოგადოება შედგება თავისუფალი პირებისგან, რომლებიც თავისუფლად ფიქრობენ, აქვთ დამოუკიდებელი და განსხვავებული აზრი და მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, რაც გულისხმობს აზრთა გაცვლას და დებატებს.[40]

სამართლებრივი გარანტიების მიუხედავად, პრაქტიკაში რამდენიმე ძირითადი საკითხი აფერხებს გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციას, რაც ძირითადად გამოიხატება ჟურნალისტებისა და მედიის სხვა წარმომადგენლების უსაფრთხოების დაუცველობაში, ცილისწამების უახლეს საქმეებში, რომლებიც მედიის წარმომადენელთა წინააღმდეგაა მიმართული და ჟურნალისტთა პარლამენტის ფარგლებში აკრედიტაციის ახალ წესებში, რაც ზღუდავს მათი გამოხატვის თავისუფლებას. ამასთან, „შეკრებებისა და მანიფესტაციების“ კანონში მოხდა ცვლილებების ინიცირება, რომლითაც შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეებს აქციის დროს დროებითი კონსტრუქციის მშენებლობა აეკრძალებათ. საგულისხმოა მაუწყებლობის შესახებ კანონში დაჩქარებული წესით მიღებული ცვლილებები, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მანდატს და საშუალებას აძლევს მარეგულირებელს, ჩაერიოს მაუწყებლების მისაღებ გადაწყვეტილებებში შინაარსობრივად, განსაკუთრებით სიძულვილის ენასთან, ტერორიზმის წაქეზებასა და უხამსობასთან დაკავშირებულ თემებზე. ცვლილება საკამათოა, რადგან ცნობილია, რომ კომისია კრიტიკულ მედიას არაპროპორციულად ზღუდავს.

საერთო პერსპექტივა აჩვენებს, რომ გამოხატვის უფლებასთან დაკავშირებული

[37] Freedom House-ის ანგარიში 2021, ხელმისაწვდომია: https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2021

[38] მედია ადვოკატირების კოალიცია, „მედია გარემო საქართველოში“, 2020, 23, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3m6QPiC

[39] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N1/6/561568 საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[40] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე N2/2/389 მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, II, 13..

კანონმდებლობა კვლავ განიხილება პროგრესულად და საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში, რაც ამართლებს ამ სფეროში ქულების უცვლელად დატოვებას.

1) მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმებისა და დაპატიმრებების, მათი უსაფრთხოების დაუცველობის შემთხვევები სამოქალაქო საზოგადოებასთან დაკავშირებულ თემებზე ინფორმაციის გაშუქებისას.

მედიის წარმომადგენლების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, წინა წლებში დაწყებული ტენდენცია საგრძნობლად გაუარესდა. 2023 წელს კიდევ უფრო გახშირდა ჟურნალისტებზე სიტყვიერი და ფიზიკური თავდასხმების, მათ პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ჩარევის შემთხვევები. მედიის გარშემო არსებული გარემო მტრული და არამეგობრულია, რადგან ჟურნალისტები ხშირად ხდებიან უკანონო ჩარევისა და თავდასხმის მსხვერპლნი. სახელმწიფო არ იძლევა სათანადო რეაგირებას, არ უზრუნველყოფს საკითხის დროულ პრევენციას და არ იძიებს ჩადენილ დანაშაულებს.[41]

გამოხატვის თავისუფლების დარღვევა ყველაზე ინტენსიურად დაფიქსირდა „უცხოური აგენტების" კანონპროექტის წინააღმდეგ ლეგიტიმური პროტესტის დროს. საპროტესტო აქციებზე მედიის წარმომადგენლებს შეგნებულად შეეზღუდათ პროფესიული მოვალეობების შესრულება და კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა, სამართალდამცავები ხშირად მიმართავდნენ ძალადობას და იყენებდნემ არაპროპორციულ ძალას, ადმინისტრაციული წესით აკავებდნენ ჟურნალისტებსა და ოპერატორებს.[42] ზოგიერთ შემთხვევაში, მტკიცებულებების შეფასებისას ეროვნული სასამართლო მხოლოდ საპატრულო პოლიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების განმარტებებს ეყრდნობოდა და მედიის წარმომადგენლებს უსაფუძვლოდ აჯარიმებდა.[43] თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ უცხოელი აგენტის კანონპროექტის პროტესტის გამო დაპატიმრებული ჟურნალისტების დაჯარიმება სახიფათო პრეცედენტს ქმნის და საზიანოა მედია გარემოსთვის. ცხადია, რომ

41 მაგალითად. იხილეთ: „20-21 ივნისის მოვლენები გამოუძიებელია", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი. 19.06.20. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3w2NW5Z , განახლებულია: 05.03.22, სვიმონიშვილი მ. და სხვ., საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „5-6 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია და სამართლებრივი შეფასება", 2021 წელი, 13-21 , ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lRIqyX, განახლებულია: 27.04.2022. „თბილისის საქალაქო სასამართლომ 5 ივლისის საქმეზე განაჩენი გამოაცხადა", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 04.04.2022. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LIDEV1 , განახლებულია: 27.04.2022.

42 მედია ადვოკატირების კოალიცია [ფეისბუქის გვერდი], 13.03.2023, მედია ადვოკატირების კოალიცია მიმართავს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონო ჩარევის და სხვა დარღვევების თაობაზე, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JxaRNV , განახლებულია: 04.04.2023

43 მედია ადვოკატირების კოალიცია, 20.04.2023, რუსეთის კანონის პროტესტის გამო დაპატიმრებული ჟურნალისტების დასჯა კიდევ ერთი სახიფათო პრეცედენტია მედიისთვის, ხელმისაწვდომია: http://mediacoalition.ge/ge/a/1288877b , [21.04.2023]. განახლებულია: 04.04.2023.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება პროფესიული საქმიანობის შემდგომ შეზღუდვას ისახავს მიზნად.[44]

2) ცილისწამებასთან დაკავშირებული საქმეები მედიის მხრის გაჩუმების მიზნით.

მედიის წარმომადგენლების გაჩუმების კიდევ ერთი მცდელობა არის ცილისწამების (SLAPP) თემასთან დაკავშირებული ჯაჭვური სასამართლო პროცესები. მაღალი თანამდებობის პირები, პოლიციელები და „ქართულ ოცნებასთან" სხვაგვარად დაკავშირებული პირები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ გამოხატვის თავისუფლების სრულფასოვანი რეალიზაციისთვის ცილისწამების საჩივრის გამოყენებით მაუწყებლებისა და მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ. გასული წლის განმავლობაში სამი წამყვანი კრიტიკული ტელეარხის - "მთავარი არხის", "ფორმულა" და "ტვ პირველის" წინააღმდეგ 28 სარჩელი შევიდა. მომჩივანთა უმეტესობა მმართველი პარტიის წარმომადგენლები და მათთან დაახლოებული პირები არიან. მოკლე დროში კრიტიკული მედიის წინააღმდეგ სასამართლო პროცესების გაზრდილი რაოდენობა აშკარად მიუთითებს კოორდინირებულ ტენდენციაზე, რომელიც მიმართულია მედიის საქმიანობის შეზღუდვისა და დაშინებისკენ. პრობლემას ამწვავებს სასამართლო პრაქტიკის ცვლილება, რომლის მიხედვითაც, კანონით დადგენილი მკაფიო ჩანაწერის მიუხედავად, ცილისწამების საკითხზე მტკიცების ტვირთი ეკისრება ჟურნალისტს. ასეთი პრაქტიკა ზღუდავს სიტყვისა და მედიის თავისუფლებას.

3) გამოხატვის თავისუფლების არაპროპორციული შეზღუდვები, დაკავშირებული პარლამენტის ახალ რეგულაციებთან ჟურნალისტების აკრედიტაციის შესახებ და მაუწყებლობის კანონში შესულ ცვლილებებთან.

2023 წლის 6 თებერვალს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გამოსცა ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა აკრედიტაციის წესი. აღნიშნული რეგულაცია ძალაში 7 თებერვალს შევიდა.[45] ერთ-ერთი ცვლილების მიხედვით, ჟურნალისტი ვალდებულია შეწყვიტოს გასაუბრება როგორც კი პარლამენტის წევრი, ოფისის თანამშრომელი ან პარლამენტში მისული პირი ამას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გამოიწვევს აკრედიტაციის შეჩერებას. საქართველოს პარლამენტის კვლევაში ნათქვამია, რომ ევროპარლამენტის ჟურნალისტების ქცევის კოდექსი მიუთითებს, რომ პარლამენტართან ინტერვიუს ჩაწერისას წინასწარი თანხმობაა საჭირო და პარლამენტარის მოთხოვნით, ინტერვიუ ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს, რომელი წესის დარღვევაც გამოიწვევს შესაბამის სანქციებს.[46] აღსანიშნავია, რომ ევროპარლამენტის ჟურნალისტების ქცევის კოდექსი ნამდვილად შეიცავს რეგულაციას წინასწარ თანხმობაზე, თუმცა არ

[44] იქვე

[45]იხილეთ: ბრძანება საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა აკრედიტაციის პროცედურის დამტკიცების შესახებ. 06.02.2023 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3HJuQb8 განახლებულია: 04.04.2023..

[46] მედიის აკრედიტაცია პარლამენტში, უცხო ქვეყნების გამოცდილება, საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი, 2021 წელი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3YdJTRk , განახლებულია 04.04.2023.

ითვალისწინებს მოთხოვნისთანავე ინტერვიუს შეწყვეტის ვალდებულებას.[47] ამგვარმა რეგულაციამ შეიძლება გამოიწვიოს ჟურნალისტისთვის აკრედიტაციის შეჩერება არასასურველი კითხვების დასმის შემთხვევაში, რადგან ბრძანებაში არ არის მითითებული, თუ რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ლეგიტიმური ჟურნალისტის კითხვებზე უარის თქმა ან ინტერვიუს დაუყოვნებლივ შეწყვეტა. ეს ხელს შეუშლის ჟურნალისტის საქმიანობას და არაპროპორციულად შეზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას.

მსგავსი რეგულაცია ასევე ხელს შეუწყობს ისედაც პოლარიზებული მედიისა და პოლიტიკური გარემოს გაუარესებას. არსებული მონაცემებით, მმართველი პარტია უკვე თავს არიდებს კრიტიკულ მედიასთან საუბარს, რაც ნიშნავს, რომ კრიტიკული მედიის აუდიტორიას არ იქნება საშუალება მოისმინოა არჩეული დეპუტატების პასუხები მათთვის დასმულ კრიტიკულ კითხვებზე. პრაქტიკაში ამ რეგულაციამ უკვე გამოიწვია კრიტიკული მედიის წარმომადგენლების აკრედიტაციის შერჩევითად, დისკრიმინაციული ნიშნით შეჩერება.[48]

2023 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო ცვლილებები მაუწყებლობის შესახებ კანონში. ცვლილებები მნიშვნელოვნად ზრდის ეროვნული კომისიის უფლებამოსილების ფარგლებს, რაც საშუალებას აძლევს მარეგულირებელს ჩაერიოს მაუწყებლების შინაარსობრივ გადაწყვეტილებებში, განსაკუთრებით სიძულვილის ენასთან, ტერორიზმის წაქეზებასა და უხამსობასთან დაკავშირებით. ცვლილებები ეროვნულ კომისიას ანიჭებს პირდაპირი სანქციების დაწესების გზით მოქმედების შესაძლებლობას. ეს აჩენს მოლოდინს კრიტიკული მედიის წარმომადგენლებისა და კომპანიების საქმიანობაში ეროვნული კომისიის შემდგომი დაუსაბუთებელი ჩარევის მიმართ, რადგან წინა წლების გამოცდილებით, რამდენჯერმე გამოვლინდა მაუწყებლობის საქმიანობაში ჩარევისა და კომისიის მხრიდან გამოხატვის თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვის ფაქტები.[49]

მეექვსე უფლებრივ სფეროსთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდაციები::

- სახელმწიფომ სწრაფი და საფუძვლიანი რეაგირება უნდა მოახდინოს მედიის სფეროს წარმომადგენლების მიერ პროფესიული მოვალეობების შესრულების პროცესში უკანონო ჩარევისა და ძალის გადამეტების შემთხვევებზე.;
- სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს დისკრიმინაციული დამოკიდებულე-ბისგან კრიტიკული მედიის წარმომადგენლებისა და სსო-ების მიმართ; და

[47] იხილეთ: ჟურნალისტების ქცევის კოდექსი ევროკომისიის შენობაში ყოფნისას, მუხლი 6. ხელმისაწვდომია ინგლისურად: https://bit.ly/3RKErmx განახლებულია: 8.02.23

[48] „კოალიცია“ ტელეკომპანია „ფორმულა“-ს ჟურნალისტებისთვის პარლამენტში აკრედიტაციის შეჩერებას ეხმაურება. 06.05.2023 ხელმისაწვდომია: http://mediacoalition.ge/ge/a/1ad4d65e

[49] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 140 წლიური ანგარიში ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2022070612391254904.pdf ,; 2022 წლის ანგარიშები ადამიანის უფლებათა სფეროში განვითარებული პრაქტიკის შესახებ: საქართველო, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3Mf3m0P

- სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს იმგვარ კანონპროექტთა მიღებისგან, რომლებიც უთვალისწინებს და ემსახურება გამოხატვის თავისუფლების არათანაზომიერ შეზღუდვას.

3.7 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

ჯამური ქულა: **3,9/7**

კანონმდებლობა: **4,7/7**	პრაქტიკა: **3,0/7**

მიუხედავად მუდმივი გამოწვევებისა, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები აწყდებიან კონფიდენციალურობის უფლებასთან დაკავშირებით, ასევე პრაქტიკულ ასპექტში ტენდენციების უცვლელობისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხის მომწესრიგებელმა საკანონმდებლო ბაზამ, საბოლოოდ განიცადა ის ცვლილებები, რომელთა მიღებაც 2019 წლიდან იგეგმება. სსო მეტრის 2021 წლის ანგარიშში მითითებული იდენტური რეკომენდაციის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის საერთაშორისო ნორმებთან (კონკრეტულად, GDPR-თან) შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პარლამენტმა 2023 წლის 3 ივლისის მდგომარეობით განაახლა მოქმედი კანონი. კანონის ცვლილებები ამოქმედდება 2024 წლის მარტში, ხოლო მისი სრულად განხორციელება მოსალოდნელია 2025 წლის 2 იანვარს. მოცემულის გათვალისწინებით, უფლებრივი სფეროს ფარგლებში, კანონმდებლობისთვის მინიჭებული ქულა, 3,8-დან (2022 წლის მონაცემებით) 2023 წელს გაიზრდა 3,9-მდე. იგივენაირად გაიზარდა სფეროს შემფასებელი საერთო ქულაც.

თუმცა, იმავე უფლებრივი სფეროს ფარგლებში აღსანიშნავია, სახელმწიფოს მხრიდან ფარული თვალთვალისა და მიყურადების ტექნიკების განვითარება, ასევე პრაქტიკაში იმ შემთხვევათა საგამოძიებო პროცედურების წარუმატებლობა, რომლებიც დაკავშირებულია სსო-ს წარმომადგენლების უკანონო თვალთვალთან. მოცემული მიზეზები განაპირობებს იმას, რომ პრაქტიკის მიმართულებით წინა წელს მინიჭებული ქულა უცვლელი რჩება და მნიშვნელოვნად ჩამორჩება კანონმდებლობის მიმართულებით გაკეთებულ შეფასებას.

1) ახალი კანონით გაიზარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოქმედი სტანდარტები.

საერთაშორისო (GDPR) სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის ახალი რედაქცია, რომელიც სრულად ამოქმედდება 2024 წლის მარტიდან, ამკაცრებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესებსა და დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს, რომლებიც, თავის მხრივ, შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.[50] საზოგადოდ გავრცელებული, საჯარო დაწესებულებებისა და კერძო სუბიექტებისთვის დაკისრებული ვალდებულება, იყოლიონ პერსონალური

[50] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5827307?publication=0 მიღების თარიღი: 14/06/2023

მონაცემების დაცვის ოფიცრები, აჩენს ამ მიმართულებით ძალისხმევის გაწევისა და მონაცემთა მართვის დღესდღეობით მოქმედი სისტემის შესაბამისად ცვლილებების საჭიროებას. აუდიო და ვიდეო მონიტორინგის წესები და პირობები ითვალისწინებს გამჭვირვალობოსა და ანგარიშვალდებულების უფრო მაღალ ხარისხს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ორგანიზაციებზე, რომლებიც იყენებენ სათვალთვალო ტექნოლოგიას სხვადასხვა მიზნებისთვის. მონაცემთა დამუშავების საფუძვლის გაფართოება ორგანიზაციებს უფრო მეტ მოქნილობას მისცემს პერსონალური მონაცემების სხვადასხვა მიზნით, მაგრამ კანონის მოთხოვნების დაცვით დამუშავების პროცესში. იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებლობის ამგვარი ცვლილება ქართული საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნითაა ნახარნახევი, ეს ცვლილებები შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირში ინტეგრაციის უმთავრესი მიზნისკენ გადადგმულ პატარა ნაბიჯად.[51]

2) პირადი ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული საფრთხეები, უცხოური აგენტების შესახებ კანონპროექტის ჭრილში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონპროექტი „უცხოური აგენტების“ შესახებ არ მიღებულა, მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის რეგულაციების შესაძლო, ნეგატიური გავლენის განხილვა პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტებთან მიმართებით.

იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი ცვლილებები ინიცირდება სამომავლოდ, უცხოური გავლენის აგენტებად რეგისტრირება მოუწევთ უცხოეთიდან მოზიდული ფინანსური წყაროებით მოსარგებლე არა მხოლოდ სსო-ებს, არამედ ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებს, მათ შორის, უცხოური კაპიტალის მქონე ბიზნესებს, როგორიცაა შესაბამისი ფინანსური, საკრედიტო დაწესებულებები და ბანკები. საკითხი შეეხება როგორც საქართველოში მოქმედ, ადგილობრივ, ისე უცხოურ საწარმოებს, რამაც შესაძლოა შეაფერხოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ზოგადად, ბიზნეს საქმიანობა. გარდა ამისა, კანონი მოქმედების ფარგლებს ავრცელებს სახელმწიფო მოხელეებზეც და ავალდებულებს მათ დარეგისტრირდნენ როგორც „უცხოური აგენტები“, თუ ისინი უცხოეთის მხარეს მიაწვდიან მნიშვნელოვან ინფორმაციას საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკის შესახებ. სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელი რიგითი მოქალაქეებიც კი, შეიძლება მოხვდნენ "უცხოური აგენტის" ეტიკეტის ქვეშ, რაც გამოიწვევს მათი პერსონალური და საკმაოდ პირადი ინფორმაციის გამჟღავნების საჭიროებას. კანონპროექტის მოთხოვნით სტატუსის მქონე სუბიექტი იღებდა ფინანსური დეკლარაციის ყოველწლიურად წარდგენის ვალდებულებას, რომელიც ასახავდა ინფორმაციას მიღებული და დახარჯული სახსრების/მატერიალური სარგებლის წყაროს, ოდენობისა და დანიშნულების შესახებ. იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილი იყო, ჩაეტარებინა მონიტორინგი „უცხოური აგენტების“ იდენტიფიცირებისთვის და ფინანსური დეკლარაციების შესამოწმებლად, შესაბამისი ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემები საკუთარი დისკრეციით გამოეთხოვა ნებისმიერი წყაროდან და მოეთხოვა მისი შემდგომი დამუშავება. შესაბამისად, კანონპროექტის შინაარსი ითვალისწინებდა იდენტიფიცირებულ პირთა პერსონალური ინფორმაციის სრულად გამჟღავნების/მიღების/დამუშავების საშუალებას. იუსტიციის სამინისტროს ასევე უფლება ჰქონდა დაეწყო მონიტორინგისა და შემოწმების პროცესი

[51] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „8 ცვლილება, რომელსაც ითვალისწინებს ახალი კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 2023 წლის 5 ივლისი, https://bit.ly/3tqq5jw

როგორც თავისი ინიციატივით, ისე ნებისმიერი პირის მიერ წარდგენილი განცხადების საფუძველზე, (მათ შორის ანონიმური ცნობის საფუძველზე) რაც განსაკუთრებით წააგავს საქართველოს საბჭოთა წარსულში გამოყენებულ მეთოდებს, როდესაც ანონიმურად დაწერილი საჩივრები კონკრეტულ პირთა დევნის საფუძველი ხდებოდა.

მეშვიდე უფლებრივ სფეროსთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდაციები:

- საქართველოს მთავრობამ სასწრაფოდ უნდა შეიტანოს აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებები, რათა შეიქმნას პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ყოვლისმომცველი სამართლებრივი გარანტიები, მათ შორის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის რეფორმისა და ზედამხედველობის გაზრდის გზით. მთავრობამ ასევე უნდა უზრუნველყოს სსო-ებთან კონსულტაციები და ჩართულობა რეფორმის პროცესში საწყისი ეტაპებიდან;
- პროკურატურა ვალდებულია პრიორიტეტულად და დროულად გამოიძიოს სსო-ების წარმომადგენლებზე, ჟურნალისტებისა და სხვათა სავარაუდო უკანონო და თვითნებური მეთვალყურეობის შემთხვევები, ყველა დაზარალებულისთვის უზრუნველყოს მსხვერპლის სტატუსის მინიჭება, საქმის მასალების სრულად მიწოდება და საზოგადოებასთან გამჭვირვალე ფორმატში ამ საკითხებზე უკუკავშირი.

3.8 სახელმწიფოს მიერ დაცვის ვალდებულება

ჯამური ქულა: **4,4/7**

კანონმდებლობა: **5,0/7**	პრაქტიკა: **3,8/7**

კანონი პირდაპირ ადგენს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, დაიცვას მედიის წარმომადგენლები, სსო-ები და მასთან დაკავშირებული პირები ნებისმიერი სახის პოტენციური ზიანისგან. თუმცა, უფლებრივი სფეროს ფარგლებში აქამდე მინიჭებული ქულა შემცირდა საანგარიშო წელს დაფიქსირებული რამდენიმე პრაქტიკული შემთხვევის გათვალისწინებით. ერთი მხრივ საარსებო გარემოს ფარგლებში დაფიქსირდა მშვიდობიან პროტესტანტებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისა და ზეწოლის ფაქტები, მეორე მხრივ, მიუხედავად სახელმწიფოს თავდაპირველი განზრახვისა, უზრუნველეყო ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის მიმართულებით გასაწევი სამუშაოების თემაზე სსო-ბთან ღია მსჯელობისა და დიალოგის შესაძლებლობა, პრაქტიკულად ეს განზრახვა არ შესრულებულა, საჯარო სტრუქტურების მხრიდან შესაბამისი ინიციატივის ნაკლებობისა და ინკლუზიურობაზე დაფუძნებული მოლაპარაკებების უეცარი შეწყვეტის გამო. მოცემულის გათვალისწინებით, პრაქტიკის მიმართულებით ქულა შემცირდა 3,9-დან - 3,8-მდე, რამაც გამოიწვია საერთო ქულის შემცირება 4,5-დან - 4,4-მდე.

1) სახელმწიფო ვერ იცავს სსო-ებსა და სსო-ებთან დაკავშირებულ პირებს ფიზიკური, ვერბალური და ფსიქოლოგიური ზეწოლისგან.

2023 წელს, სახელმწიფო სტრუქტურათა წარმომადგენლებისგან ხორციელდებოდა სსო-ების დისკრიმინაციული ნიშნით შევიწროება, რაც თავის მხრივ მოიცავდა როგორც საჯარო ბრალდებების წაყენებისკენ მიმართულ ქმედებებს, ისე მათი უფლებების შემზღუდავი სამართლებრივი ზომების მიღებას. სახელმწიფოს მსგავს დამოკიდებულებას აქვს განგრძობადი შედეგები სამოქალაქო საზოგადოებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებრივ მდგომარეობაზე. მოცემულს ადასტურებს 2023 წლის მარტის პერიოდის შემდგომ ჩატარებულ საპროტესტო აქციებზე მიმდინარე მოვლენების შეფასებაც, რა დროსაც მოხდა მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილე სსო-ების ხელმძღვანელების, აქტივისტიებისა და უფლებადამცველების მასობრივი დაკავება. მაგალითისთვის, 7-9 მარტის საპროტესტო აქციების დროს ბევრი აქტივისტი და ოპოზიციური პარტიის წევრი დააკავეს. საია აქტიურად იყო ჩართული დაკავებული პირების დაცვაში. მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ დაასაბუთა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა მოძველებული კოდექსის საფუძველზე დაკავებულ პირთა ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის გახანგრძლივების საფუძველი, დაკავებულთა უმრავლესობა შეაყოვნეს მაქსიმალური ვადის განმავლობაში. მალევე, ივნისის თვეში დამატებით დააკავეს აქტივისტები უწარწერო ბანერებისა და პლაკატების ქონისა და გამოყენების მიზეზით.

იმავდროულად, 8 აგვისტოს Tbilisi Pride-ის ორგანიზატორები და მონაწილეები კიდევ ერთხელ გახდნენ აგრესიული კონსერვატიული ჯგუფების პირდაპირი სამიზნეები, რომლებიც მომართულნი იყვნენ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებისკენ, რის საპასუხოდაც სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პროცესის შესაბამისი მართვა ან სხვა საშუალებით, მათ შორის დამატებით ადამიანური რესურსების გამოყენებით, სამშვიდობო მიზნების განხორციელება.[52]

2) სახელმწიფო წყვეტს **AML** და **CTF** პოლიტიკის განახლებისა და რისკის შეფასების პროცედურებთან დაკავშირებულ საჯარო განხილვის პროცესს.

მიუხედავად იმისა, რომ პასუხისმგებელი ორგანოების განცხადებით, ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების მიმართულებით ქვეყნის შესაბამისი ანგარიში თითქმის დასრულებულია, 2023 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა რაიმე სახის ხელშესახები შედეგი, არ გაზიარებულა მზა ანგარიში ან ამ მიმართულებით რაიმე სახის პროგრესი. მიუხედავად იმისა, რომ რისკის შეფასების ანგარიში, პირველადად დადგენილი ვადის მიხედვით 30 ივლისამდე უნდა დასრულებულიყო, დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომი მხოლოდ 2023 წლის 3 ოქტომბრიდან გახდა.[53] გასულ წელს, ჯერ კიდევ პროცესის დასაწყისში, საქმის იპერატიულად დასრულების მიზნით, პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანო (სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სააგენტო) დაუკავშირდა დაინტერესებული სსო-ს წარმომადგენლებს. პროცესში შეიქმნა სამუშაო ჯგუფიც, რათა დაინტერესებულ მხარეებს ერთობლივად განეხილათ, როგორ უნდა

[53] კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4690334?publication=10

მომხდარიყო შესაბამისი პრევენციის მექანიზმების ოპტიმიზაცია.[54] სამწუხაროდ, პროცესი მოულოდნელად შეწყდა და სახელმწიფოს მხრიდან დახურულ კარს მიღმა გაგრძელდა.

საბოლოო ეტაპზე, AML/TF რისკის შეფასების დოკუმენტი გამოქვეყნდა წინასწარი საჯარო განხილვების წარმოების გარეშე. დოკუმენტი არასამეწარმეო და კომერციულ იურიდიულ პირებს ფარავს ერთი თავის ფარგლებში, არაკომერციული სექტორის შესახებ მოიცავს ძალიან მცირე მოცულობის ინფორმაციას და ძირითადად კონცენტრირებულია კომერციულ სექტორსა და მისგან გამომდინარე რისკებზე. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ფულის გათეთრების საქმეები, როგორც წესი, კომერციულ იურიდიულ პირებთან კავშირდება, რადგან მათი შექმნა და მართვა მარტივი პროცედურების საფუძველზეა შესაძლებელი. სხვა სახის იურიდიულ პირებს პროცესის მიმართ აქვთ დაბალი ხარისხის მოწყვლადობა. ამ გარემოებების გათვალისწინებით, იურიდიულ პირებთან დაკავშირებული რისკები (როგორც არაკომერციული, ასევე კომერციული) შეფასებულია, როგორც საშუალო რისკის მქონედ ფულის გათეთრების მიმართულებით და დაბალი რისკის მქონედ ტერორიზმის დაფინანსების მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული შეფასება ბუნდოვანია, მნიშვნელოვანია, რომ რისკის შეფასების დოკუმენტი ფარავს სსო-ებს და მათ განიხილავს როგორც დაბალი რისკის მქონე სექტორად ტერორიზმის დაფინანსების მიმართულებით.

მერვე უფლებრივ სფეროსთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდაციები:

- სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ყველა საჭირო ზომა, რათა შექმნას სტაბილური და ქმედითი მექანიზმები სსო-ების წარმომადგენლების სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისგან დასაცავად, რომლებიც შეინარჩუნებს ეფექტურობას მიუხედავად იმისა, თუ როგორ გამოიყურება პოლიტიკური თუ სოციალური გარემო.
- სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, სამთავრობო ხელისუფლებამ და მმართველი პარტიის სხვა წარმომადგენლებმა უნდა შეწყვიტონ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე თავდასხმა და შევიწროება, გააძლიერონ კრიტიკული სსო-ების მონაწილეობა მმართველობით პროცესებში და უზრუნველყონ უსაფრთხო და ცოლისწამებისა და დისკრედიტაციისგან თავისუფალი გარემოს არსებობა სამოქალაქო ორგანიზაციების და უფლებადამცველების საქმიანობისთვის.
- MONEYVAL-ის ინსტრუქციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა უნდა გააგრძელოს კომუნიკაცია სსო-ის წარმომადგენლებთან და უზრუნველყოს მათი ჩართულობა საქმიანობის ყოველ ეტაპზე.

[54] CSI, 2010 წლის 13 ოქტომბერი, https://civilin.org/information/9703/ (ქართულ ენაზე).

3.9 სახელმწიფო მხარდაჭერა

ჯამური ქულა: **4,2/7**

კანონმდებლობა: **4,4/7**	პრაქტიკა: **4,0/7**

სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმებთან დაკავშირებული კანონმდებლობა სსო-ებს საშუალებას აძლევს მოითხოვონ ფინანსური დახმარება საჯარო დაწესებულებებისგან. პროცედურა რეგულირდება ზოგადი ნორმებით, რაც ქმნის შესაბამის სამოქმედო სივრცეს საჭირო ცვლილებების დანერგვისთვის განსაზღვრულობის, ღიაობისა და მიუკერძოებლობის სტანდარტის გასაზრდელად. მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში ფიქსირდება რიგი ცვლილებები, მაგალითად - სახელმწიფო შესყიდვების კანონის ახალი პროექტის შემუშავება, მოხალისეობის მხარდაჭერის მიზნის ჩართვა ქვეყნის 2030 წლის განვითარების სტრატეგიაში და დღგ-ის დაბრუნების მექანიზმებში გარკვეული ცვლილებები, რაც საერთო ჯამში პროცედურას ართულებს, არცერთი ეს ცვლილება (მათი მასშტაბის გათვალისწინებით) არსებითი არ არის. არ დაფიქსირებულა ცვლილებები დაბეგვრის ან საგადასახადო შეღავათებთან დაკავშირებით სექტორის წარმომადგენლებისთვის ან სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო დაფინანსების მოდელი უცვლელი რჩება, რის შედეგადაც უცვლელია სფეროს შეფასების საერთო ქულა.

1) სახელმწიფო ინსტიტუტები არ თანამშრომლობენ კრიტიკულად განწყობილ სსო-ებთან, სახელმწიფო მხარდაჭერის კონტექსტში

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს აუცილებელ გარანტიებს საჯარო ინფორმაციის უფასოდ და გონივრულ ვადაში (დაუყოვნებლივ, ან არაუგვიანეს ათი დღის ვადაში) ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, როგორც IDFI-ის ცნობებით ირკვევა, 2022-2023 წლებში, კერძოდ, 2022 წლის შემდეგ მკვეთრად გაუარესდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი და, შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოების ანგარიშვალდებულების პრაქტიკული გამოვლინების მაჩვენებელი. სახელმწიფო ორგანოებმა შეამცირეს რეაგირების დონე გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნაზეც, მათ შორის გრანტების ოდენობებისა და ამ გრანტების მიმღები პირების მითითებით. (2022-დან 2023 წლამდე საანგარიშო პერიოდში). აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე გრანტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი პოლიტიკური ნების საფუძველზე და ყოველთვის არ უკავშირდება გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული პროცესებისა და კონკურსის საფუძველზე შესაბამისი კანდიდატების გამოვლენას.[55]

[55] განცხადების მხარდამჭერი კომენტარები აღებულია ფოკუს ჯგუფის შეხვედრიდან, რომელიც გაიმართა 2023 წლის 6 სექტემბერს

ჯამში, 14 საჯარო დაწესებულებამ მიიღო წერილი საანგარიშო პერიოდში გაცემული გრანტების შესახებ საჯარო ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით. ზოგიერთმა მათგანმა არ უპასუხა, მიუხედავად მათთან დაკავშირების მცდელობებისა. დაწესებულების დარჩენილმა ნაწილმა განაცხადა, რომ ან საერთოდ არ გასცემდა გრანტს, ან არ ჰქონდა პასუხი საჯარო ინფორმაციის მოთხოვის წერილზე.

მიუხედავად იმისა, რომ ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) სამოქმედო გეგმა (ვალდებულება 12) მიუთითებს, რომ სახელმწიფო/საჯარო დაწესებულებების საგრანტო დაფინანსების სისტემის რეფორმა გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად 2018 წელს უნდა დაწყებულიყო, ჯერ კიდევ არ არსებობს საკითხის მარეგულირებელი თანმიმდევრული ჩარჩო.

2) სსო-ების მიმართ არსებული, დღგ-ს დარბუნების პროცესთან დაკავშირებული მოთხოვნები წარმოადგენს გამოწვევას.

დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ ამოქმედების შემდეგ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს (სსო) აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ არაარსებით ეკონომიკურ საქმიანობებში და თავიანთი შემოსავალი მიმართონ არაკომერციული მიზნებისკენ ისე, რომ არ ჰქონდეთ მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება. გარდა ამისა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავისუფლდებიან ქონების გადასახადისგან, თუ მათი ქონება არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისთვის. ამ შეღავათების პარალელურად, სსო-ები კვლავ სარგებლობენ დღგ-სგან გათავისუფლების/დღგ-ს დაბრუნების შესაძლებლობით, შესაბამისი საგრანტო პროგრამების ფარგლებში. ამ მიმართულებით, 2022 წლის 20 სექტემბერს ამოქმედებულმა ახალმა რეგულაციემა გაართულა აქამდე მოქმედი დღგ-ის დაბრუნების პროცედურა. ახალი რეგულაციის მიხედვით, იურიდიული პირის მიერ დღგ-ს დაბრუნება ვერ მოხდება, თუ ორგანიზაციის კონტრაქტორის დავალიანება სახელმწიფპს მიმართ აღემატება 25000 ლარს (დაახლოებით 9156 ევროს). მოცემული შეზღუდვა გამოწვევას ქმნის ვადების გათვალისწინებით, რადგან სსო-ებს მხოლოდ სამი თვე აქვთ თანხის დაბრუნების მოთხოვნის წარსადგენად, რაც ზრდის კონტრაქტორის მიერ გადასახადის დროულად დაუფარავობის პირობებში დღგ-ს ვერმიღების რისკებს. შესაბამისად, სსო-ებს მოეთხოვებათ ხელახლა შეაფასონ შესყიდვების სტანდარტები მომწოდებლებთან ურთიერთობისას და მუდმივად შეამოწმონ პოტენციური კონტრაქტორების ფინანსური მდგომარეობა, მათ შორის კონტრაქტების დადებამდე..

მეცხრე უფლებრივ სფეროსთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდაციები:

- სახელმწიფო დაწესებულებებმა უნდა შეიმუშაონ სახელმწიფო გრანტების მართვის სისტემა და მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია პროაქტიულად გამოაქვეყნონ, რაც საშუალებას მისცემს მონაწილეებს დააკვირდნენ პროცესს, წარმოადგინონ შეკითხვები, მიიღონ ინფორმაცია და გამოხმაურება ან დაწერონ საჩივარი;

- სახელმწიფო დაწესებულებებმა უნდა შეიმუშაონ სახელმწიფო გრანტების მართვისა და მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების სისტემა, რაც

მონაწილეებს საშუალებას მისცემს პროაქტიულად დააკვირდნენ პროცესს, დასვან შეკითხვები, მიიღონ ინფორმაცია და გამოხმაურება და/ან წარადგინონ საჩივრები.

- საგადასახადო ორგანოებმა უნდა განიხილონ სტრატეგიები, რომლებიც საშუალებას მისცემს სსო-ებს წარადგინონ დღგ-ის დაბრუნების მოთხოვნა სამი თვის შემდეგ, თუ წინა მოთხოვნაზე უარი ითქვა კონტრაქტორის დავალიანების გამო;

3.10 სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობა

ჯამური ქულა: **4,0/7**

კანონმდებლობა: **4,2/7**	პრაქტიკა: **3,7/7**

საქართველოს ამჟამად აკლია სტანდარტიზებული ინსტრუმენტები და ყოვლისმომცველი სტრატეგია სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გასაძლიერებლად. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მოქმედებს უნიკალური საკანონმდებლო ბაზა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) სახით, რაც ხელს უწყობს სსო-ებსა და მთავრობას შორის თანამშრომლობას, პრაქტიკაში მოცემულის ეფექტური განხორციელება ვერ ხერხდება, შემუშავებული სამოქმედო გეგმების შესრულების ვალდებულების არარსებობის გამო. პოლიტიკური ნების და ინსტიტუციური მავალდებულებელი მექანიზმების დეფიციტი მთავარი ფაქტორია, რომელიც იწვევს საკითხის მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას და მოსაზრებას, რომ OGP საქართველოს მაგალითზე არაეფექტურია. შესაბამისად, ინსტიტუციური მექანიზმების არარსებობის გამო, ერთობლივი ძალისხმევის რეალური შედეგები, როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე უპირატესად დამოკიდებულია გადაწყვეტილების მიმღებთა დისკრეციაზე. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სახელმწიფოს წარმომადგენლებმა არ ისურვეს პოლიტიკურ დიალოგში კრიტიკულად განწყობილ, დამკვირვებელ ორგანიზაციებთან მონაწილეობა, რაც სამომავლოდაც შექმნის არახელსაყრელ გარემოს შესაბამის საკითხთა ადვოკატირების მიზნით, პროცესში ჩართული სსო-ებისთვის. თუმცა, სსო-ებისთვის, რომლებიც ნაკლებად არიან ორიენტირებულნი პოლიტიკურად მგრძნობიარე რეფორმებზე, წარმატებული თანამშრომლობითი პროცესის წარმოების ალბათობა, უფრო მაღალია.

ამ გამოწვევების გათვალისწინებით, წინა საანგარიშგებო პერიოდში განსაზღვრული რეკომენდაციები კვლავ აქტუალური რჩება. ეს რეკომენდაციები, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს არსებული თანამშრომლობის ინსტრუმენტების ეფექტურობის გაზრდასა და სექტორის გაძლიერების საკითხის პრიორიტიზირებას. ვინაიდან მოცემული საერთოდ არ არის დღევანდელი დღის წესრიგის ნაწილი, ამ კომპონენტმა განაპირობა პრაქტიკის კომპონენტის შემცირება 3,9 ქულიდან (2022 წლის მაჩვენებელი) 3,7 ქულამდე (2023 წლის

მაჩვენებელი). ამ სფეროში საერთო ქულა ასევე შემცირდა 4,1-დან (2022 წელს) 4,0-მდე (2023 წელს.). სახელმწიფოსთან მდგრადი თანამშრომლობითი პრაქტიკის განვითარება, სულ უფრო რთული ხდება. გარდა ამისა, აუცილებელია გავითვალისწინოთ, თუ როგორ იმოქმედა უცხოური აგენტების შესახებ კანონპროექტის ინიცირებამ სსო-ებსა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობაზე. მოცემულის ფონზე კიდევ უფრო მწვავდება ამ უფლებრივი სფეროს ფარგლებში დაიდენტიფიცირებული გამოწვევების მნიშვნელობა.

1) სახელმწიფოს მხრიდან არ ფიქსირდება პროგრესი სსო-ებთან თანამშრომლობისა და მათი განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით პოლიტიკის შემუშავების/გაუმჯობესების თვალსაზრისით.

საქართველოში ჯერ კიდევ არ შემუშავებულა ერთიანი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს და ინსტიტუციონალურ დონეზე მოაწესრიგებს სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობის, ამ ნიშნით საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების საკითხებს. დღეისათვის არსებობს მხოლოდ ფრაგმენტული კანონმდებლობა და ასეთივე ფორმით მოქმედი პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობას. მიუხედავად მოცემულისა, ამ სფეროში პროგრესი შეფერხებულია პოლიტიკური ნების არარსებობით - დააჩქაროს თანამშრომლობისთვის აუცილებელი მექანიზმების შექმნა და პრაქტიკაში ამ მექანიზმთა განხორციელება. შესაბამისად, ამ მიმართულებით აქამდე შემუშავებული პოლიტიკის ეფექტურობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, რაც იწვევს სსო-ების განვითარების ხელშეწყობის საკითხის მიმართ სახელმწიფოს მიდგომის კრიტიკას.

საქართველოში სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც გაფორმდა 2013 წელს, საქართველოს პარლამენტსა და 145-ზე მეტ სამოქალაქო ორგანიზაციას შორის. ეს მემორანდუმი ასახავს წარმატებული თანამშრომლობის მიზნით დანერგილ პრინციპებს და ხელს უწყობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო კონცეფციის შემუშავებას. თუმცა, 2014 წელს, კონცეფციის შემუშავების მიზნით სამუშაოების დაწყების მიუხედავად, პარლამენტმა არ მისცა მსვლელობა მოცემულ პროცესს. პროცესის მხარდამჭერი პოლიტიკური დოკუმენტების არარსებობა არა მხოლოდ აფერხებს თანამშრომლობით ურთიერთობებს, არამედ ზღუდავს რესურსებზე ხელმისაწვდომობასა და ზოგადად შესაძლებლობას, სახელმწიფოსა და სამოქალაქო ორგანიზაციების ეფექტური თანამშრომლობის მისაღწევად.

2) **OGP**-ს მექანიზმის სტაგნაცია, როგორც საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის მიმართულებით არსებული სიტუაციის ილუსტრაცია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ გააჩნია საკითხთან დაკავშირებით ყოვლისმომცველი მხარდამჭერი პოლიტიკის დოკუმენტები, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვადასხვა მექანიზმებს სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გასაადვილებლად.

ცენტრალურ დონეზე ამ მიზნით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მონაწილეობდნენ OGP- სისტემის ფარგლებში დაწყებულ პროცესებში. ამ მიზნით ამუშავდა შესაბამისი საკოორდინაციო მექანიზმები აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს შორის, კერძოდ:

- მთავრობის დონეზე: საქართველოს მთავრობის დონეზე შეიქმნა საქართველოს ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. ეს საბჭო პასუხისმგებელია ქვეყანაში ღია მმართველობის პოლიტიკის განხორციელების პროცესის კოორდინაციაზე. მისი ამოცანები მოიცავს ღია მმართველობის საქართველოს სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავებასა და მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენას. საკოორდინაციო საბჭოში შედიან სახელმწიფო დაწესებულებების ხელმძღვანელები, ასევე წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, საკონსულტაციო ხმის უფლებით აქვთ, შესაბამის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფორმალური მექანიზმი ეფექტური ჩანს ქაღალდზე, იგი, მისი დაარსების დღიდან (2020 წლის თებერვალი) დღემდე - პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს. მოცემულის მაგალითია ისიც, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მთავრობის სამდივნოს ინიციატივების არსებობის პირობებშიც, სამოქმედო გეგმის შემუშავების, პროცესი დღემდე არ დასრულებულა.

- პარლამენტის დონეზე: საქართველოს პარლამენტმა შექმნა ღია მმართველობის მუდმივი საპარლამენტო საბჭო, რომელიც შედგება პარლამენტის წევრებისგან. ეს საბჭო თანამშრომლობს საკონსულტაციო ჯგუფთან, რომელიც შედგება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და დონორი სუბიექტების წარმომადგენლებისგან. საბჭო, საკონსულტაციო ჯგუფთან ერთად, პასუხისმგებელია OGP-ის ფარგლებში პარლამენტის სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე. ისტორიულად, ამ ჩარჩოს გამოყენებით, სამოქალაქო სექტორი აქტიურად იყო ჩართული პარლამენტთან საწარმოებელ სამუშაო პროცესებში, დონორი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი ინიციატივების წარმატებით განხორციელების მოტივით.

თუმცა, ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა, მათ შორის „უცხოური აგენტების შესახებ კანონის“ პროექტის შემოღებამ და მთავრობის მცდელობამ მოახდინოს სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაცია, შეუძლებელი გახადა ორგანიზაციების უმეტესობისთვის საპარლამენტო უმრავლესობასთან ამგვარი თანამშრომლობა. შესაბამისად, საკონსულტაციო ჯგუფში შემავალმა ორგანიზაციებმა პროცესში მონაწილეობა დროებით შეაჩერეს. თემასთან დაკავშირებით გაგზავნილია ოფიციალური წერილი[56] უფლებამოსილ პირებთან, რის შედეგადაც, ნოემბრის თვეში მოსალოდნელია მოვლენათა შემდგომი განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენების საფუძველზე OGP მექანიზმი არ უქმდება, თანამშრომლობის ნაწილში მიღწეული პროგრესი მინიმალური - ან/და არარსებულია. პროცესი გადავიდა იმ ფაზაში, რომ გადასაწყვეტია რა გზებით უნდა

[56] საქართველო - შეშფოთების წერილი (2023 წლის აპრილი)
- https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-letter-of-concern-april-2023/

გაუმჯობესდეს მხარეებს შორის ურთიერთობები ზოგადად და განიმუხტოს არსებული დაძაბულობა.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოში, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა, რაც გამოწვეულია ჩართულობისა და თანამშრომლობის სტანდარტიზებული ინსტრუმენტების არარსებობით და ამ მიმართულების განვითარებასთან დაკავშირებით პოლიტიკური ნების ნაკლებობით. უცხოური აგენტების შესახებ კანონის პროექტის შემოღებამ კიდევ უფრო გაართულა არსებულ ურთიერთობათა ოპტიმიზაცია, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს უსვამს დემოკრატიული ღირებულებების დაცვის მიზნით, მეტად ხელსაყრელი თანამშრომლობითი გარემოს შექმნის საჭიროებას.

მეათე უფლებრივ სფეროსთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდა-ციები

- სახელმწიფო ინსტიტუტებმა, განსაკუთრებით საქართველოს მთავრობამ, პატივი უნდა სცეს და უპასუხოს საკუთარ ვალდებულებებს OGP-ის ფარგლებში, მათ შორის OGP-ის სამოქმედო გეგმის მიღებით და გამოყოს მოცემულისთვის საკმარისი ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსებია

3.11 ციფრული უფლებები

ჯამური ქულა: **4,9/7**

კანონმდებლობა: **5,1/7**	პრაქტიკა: **4,7/7**

ინტერნეტზე თავისუფლად წვდომისა და მისი გამოყენების უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით. ინტერნეტის მომხმარებლებს საქართველოში შეუძლიათ გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები/პოზიციები და გამოიყენონ ონლაინ პლატფორმები საჯარო პოლიტიკასთან დაკავშირებული, სხვადასხვა თემების ადვოკატირებისთვის. ამის მიუხედავად, ქვეყანას არ გააჩნია ყოვლისმომცველი საკანონმდებლო ბაზა, რათა უზრუნველყოს ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ადამიანის უფლებების სტანდარტებთან შესაბამისობაში.

საანგარიშო პერიოდში სოციალური მედიის გვერდები ეფექტურად გამოიყენებოდა საპროტესტო აქციების ორგანიზებისთვის, შემოთავაზებული, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტის (უცხოური აგენტების შესახებ კანონპროექტი) გაპროტესტების მიზნით.

ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი საქართველოში მუდმივად იზრდება, ისევე როგორც ქვეყნის ცალკეულ შორეულ რეგიონებში ინტერნეტ ინფრასტრუქტურის განვითარების

მაჩვენებელი. თუმცა, პოლიცია პერიოდულად დევნის და დაკითხვაზე იბარებს პირებს /ინტერნეტ მომხმარებლებს მათი ონლაინ აქტივობის გამო. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ყალბი ამბების გავრცელების მიმართულებით პროცესთა გააქტიურება, მათ შორის ხელისუფლებისა და მთავრობასთან დაკავშირებული ჯგუფების მხრიდან.

თუმცა, არც პოზიტიური, ისევე როგორც უარყოფითი შინაარსის მოვლენები არ ყოფილა იმხელა მნიშვნელობის, რომ ზეგავლენა მოეხდინა უფლებრივი სფეროს ქულობრივ შეფასებაზე, ამ ნიშნით მონაცემები უცვლელია და ემთხვევა 2022 წლის შეფასებებს.

1) სამოქალაქო საზოგადოება იყენებს ონლაინ ინსტრუმენტებსა და პლატფორმებს თავისუფლებების დასაცავად და უფლებების განსახორციელებლად, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო ბოროტად იყენებს იმავე საშუალებებს ორგანიზაციების თავისუფალი მოქმედების შეზღუდვის მიზნით.

ზოგადი წესის შესაბამისად, ციფრული უფლებები საკანონმდებლო წესითაა დაცული, ხოლო ონლაინ მომხმარებლები ნაკლებად აწყდებიან დაბრკოლებებს ონლაინ სივრცეში საქმიანობისას/საკუთარი თავის გამოხატვისას. პირიქით, ონლაინ საკომუნიკაციო ინსტრუმენტები და პლატფორმები ეფექტურად გამოიყენებოდა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ საკამათო კანონპროექტის გაპროტესტებისა და შეჩერების მიზნებისთვის. ციფრული უფლებების თემასთან დაკავშირებული რისკი, რომელიც კანონპროექტიდან გამომდინარეობდა, უკავშირდებოდა კანონპროექტიდან გამომდინარე ვალდებულებას, სსო-ების, ონლაინ მედია წარმოამდგენლებისა და ონლაინ პლატფორმების მიერ მომხდარიყო რეგისტრირების წესით უცხოური აგენტების სტატუსის აღიარება, თუკი მათი დაფინანსება, წამოსული უცხოური წყაროებიდან, აღემატებოდა მათი სრული შემოსავლების 20 პროცენტს.[57]

გასული წლების განმავლობაში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ონლაინ მომხმარებლები დაკითხეს Facebook-ზე გამოქვეყნებული პოსტებისთვის. მაგალითად, საიას დასკვნის მიხედვით, 2023 წლის 10 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ფიზიკური პირი დააჯარიმა 2000 ლარით, TikTok-ზე გავრცელებული ვიდეოს გამო, სადაც ის შეურაცხმყოფელ ენას იყენებდა როგორც მერის, ისე პოლიციის მისამართით, საგზაო მოძრაობის წესების გაკრიტიკების პარალელირად. მოცემული გულისხმობს, რომ დანერგილია შერჩევითი პრინციპით მიზანში ამოღებულ პირთა დაჯარიმების პრაქტიკა.[58]

გარდა ამისა, როდესაც საქმე ეხება ონლაინ პლატფორმების ბოროტად გამოყენებას, როგორც ფეისბუქი იტყობინება, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი (Government Stratcom) ჩართული იყო ონლაინ მანიპულირებაში და ყალბი ამბების გავრცელებაში ოპოზიციური პარტიების,

[57] Civil.ge – „ხალხის ძალამ“ უცხოური გავლენის აგენტების შესახებ კანონპროექტი შეიმუშავა. – 15 თებერვალი, 2023, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/archives/525575

[58] GYLA. “[მართლმსაჯულება 1984 წლის კოდექსით”, Justice under the 1984 Code], Available at: https://bit.ly/3OvxQes

აქტივისტების, დემონსტრაციების და სხვა. პირების მიმართ, მაშინ როდესაც პარალელურად ვრცელდებოდა პრო-სამთავრობო ნარატივები.[59]

ზოგადად, საქართველო განიცდიდა ადრესატთა დეზინფორმაციისკენ მიმართული კამპანიების გააქტიურებას და სხვადასხვა შიდა და გარე აქტორების მხრიდან საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის მცდელობებს, სხვადასხვა საჯარო პოლიტიკას მიკუთვნებული საკითხების შესახებ, რომელთა შორისაცაა რუსეთის შეჭრა უკრაინაში, ოპოზიციის ლიდერების ქცევა, დასავლეთის ქვეყნები და მათი ლიდერების პოზიციონირება და ა.შ.

2022 წლის სექტემბერში მაუწყებლობის შესახებ კანონში ვიდეო გაზიარების პლატფორმებთან დაკავშირებით საკამათო რეგულაციები დამტკიცდა,[60] რაც შემოთავაზებული განმარტებების ბუნდოვანებისა და „საზიანო“ შინაარსის კონტენტის მნიშვნელობის დაუკონკრეტებლობის გათვალისწინებით ქმნიდა რისკებს, რომ ვიდეო გაზიარების პლატფორმები პასუხისმგებელნი გახდებოდნენ მომხმარებლების მიერ ატვირთული მასალის შინაარსზე. შემოთავაზებული ცვლილებები შეიცვალა 2023 წლის მაისში,[61] მოცემულთან დაკავშირებით ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ნეგატიური გამოხმაურების გათვალისწინებით, რომლებმაც ხელი შეუწყვეს რეგულაციების ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად შემუშავებას.

2) სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგა ნაბიჯები ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად.

გასული წლის მსგავსად, მთავრობის მცდელობებმა ინტერნეტ ინფრასტრუქტურის გაფართოებისთვის ნიშნით გარკვეული პროგრესი აჩვენა. 2023 წლის ივნისის მდგომარეობით, ოთხი პროექტის შედეგად, სულ 380 კილომეტრიანი ინტერნეტ ინფრასტრუქტურა აშენდა 90-მდე დასახლებისთვის, დაახლოებით 60,000 მოსახლეობით.[62] გარკვეული პროგრესი შეინიშნება მთავრობის მცდელობებში, დანერგოს 5G ინტერნეტი, რადგან ერთ-ერთ ინტერნეტ სერვის პროვაიდერს (ISP) (Cellfie, ადრე სახელწოდებით Beeline) მოცემული მიზნით, აუქციონის შემდეგ შესაბამისი ლიცენზია გადაეცა. თუმცა ამავე პროცესების ფარგლებში, ორმა უმსხვილესმა ISP-მა გააკრიტიკა მარეგულირებელი არაგონივრული მოთხოვნების გამო და უარი თქვა ტენდერში მონაწილეობაზე.[63] გარდა ამისა, 2022 წლის დეკემბერში ევროკავშირმა გამოაცხადა თავისი

[59] საქართველოს ამბები. „ფეისბუქი ამხელს საქართველოს მთავრობის სტრატკომს ყალბ ანგარიშებთან დაკავშირებით“ ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3sNz4KX

[60] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). „მაუწყებლობის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების შედეგები“. ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/en/effects_of_the_amendments_to_the_law_on_broadcasting_on_digital_rights

[61] საქართველოს პარლამენტი. „მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილებები“ ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/26467

[62] ინფორმაცია შეგროვდა სახელმწიფო შესყიდვების ვებგვერდიდან, სადაც წარმოდგენილია სატენდერო დეტალები და დოკუმენტაცია ამ პროექტების შესახებ: https://tenders.procurement.gov.ge/

[63] Civil.Ge. „სილქნეტი და მაგთიკომი აკრიტიკებენ ComCom-ის 5G აუქციონის მართვას“. 1 აგვისტო, 2023. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/archives/554005

განზრახვა გამოყოს 2,3 მილიარდი ევრო შავ ზღვაში სტრატეგიული წყალქვეშა ელექტრო კაბელის განვითარებისთვის, რომელიც აკავშირებს საქართველოს ევროკავშირთან.[64]

მეთერთმეტე უფლებრივ სფეროსთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდა-ციები:

- საქართველოს მთავრობამ უნდა შეიმუშაოს გამჭვირვალობის მოთხოვნები დაბლოკილი ან შეზღუდული ვებგვერდებისთვის, რითიც იხელმძღვანელებს სატელეკომუნიკაციო სექტორის მარეგულირებელი კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

- ხელისუფლებამ უნდა გააგრძელოს ინტერნეტ ინფრასტრუქტურისა და სფეროში, კონკურენციის ხარისხის გაუმჯობესებაზე მუშაობა, რათა საქართველოს მოქალაქეებს შეეძლოთ ციფრული თავისუფლებებისა და ახალი ტექნოლოგიების შეუფერხებელი გამოყენება

- საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს ციფრული მდგრადობისა და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, რაც უკეთესად მიიღწევა სახელმწიფო-კერძო თანამშრომლობითა და ერთობლივი ძალისხმევით;

[64] Civil.Ge. ევროკავშირი 2.3 მილიარდი ევროს ინვესტიციას განახორციელებს საქართველო-რუმინეთის შავი ზღვის ელექტრო კაბელში. 2022 წლის 12 დეკემბერი, https://civil.ge/archives/518324

IV. ძირითადი პრიორიტეტები

ბოლო საანგარიშო პერიოდის მიგნებები მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება დგას მნიშვნელოვანი გამოწვევებისა და იმგვარი მოვლენების წინაშე, რომლებიც საჭიროებს ყურადღებასა და ოპერატიულ მოქმედებას.

მიუხედავად იმისა, რომ არის რამდენიმე უფლებრივი სფერო, რომლებშიც მნიშვნელოვანი ცვლილებებით არ ხასიათდება, „უცხოური აგენტების შესახებ კანონის“ პროექტის ინიცირებამ შექმნა ატმოსფერო, რომელიც პოტენციურად ძირს უთხრის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ სანდოობას, მათი გამჭვირვალობის მიმართ რწმენას.

გადამწყვეტია, პრიორიტეტი მიენიჭოს სსო-ების ავტონომიისა და მთლიანობის/ერთიანობის დაცვას და იმის უზრუნველყოფა, რომ ორგანიზაციებს უსაფუძვლოდ და უსამართლოდ არ შერჩეთ „უცხოური გავლენის გენტების“ სტატუსი. ასევე, აუცილებელია დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლება და დაკავშირებული ფუნდამენტური უფლებები, მათ შორის მშვიდობიანი შეკრების უფლება. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ეს უფლებები არ შეიზღუდება, მათ შორის თვითნებურად ან/და შერჩევითად, განსაკუთრებით საპროტესტო და საზოგადოებრივი შეკრებების კონტექსტში.

სახელმწიფომ უნდა მიიღოს პროაქტიული ზომები მემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფების მიერ წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც მიზნად ისახავენ აქტივისტებსა და ლგბტქ+ ორგანიზაციების დაზიანებას. ექსტრემისტული ჯგუფების ლიდერების ქმედებების გამოძიების პროცესი უნდა იყოს ეფექტური და მიუკერძოებელი.

პოლიტიკურ ლიდერებს შორის, მაგალითად, როგორიცაა პრეზიდენტი და მთავრობის ხელმძღვანელი (პრემიერი), აზრთა სხვადასხვაობა ხელს უწყობს პოლიტიკურ პოლარიზაციას. რაც, მათ შორის გამოიხატა საპარლამენტო უმრავლესობის მიერ დაწყებული პრეზიდენტის იმპიჩმენტის წარუმატებელი პროცესით. ძალისხმევა უნდა ჩაიდოს იმაში, რომ გადალახოს განხეთქილების გამომწვევი პრობლემები და შენარჩუნდეს სტაბილური პოლიტიკური გარემო. მით უმეტეს ამ გარემოში, როდესაც საქართველომ მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი.

წინა წელს სახელმწიფო აქტიურად მუშაობდა FATF-ის მე-8 რეკომენდაციასთან შესაბამისობის მიღწევის საკითხზე. შეიკრიბა საკონსულტაციო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ სსო-ები, თუმცა ამ წლის დასაწყისში განვითარებული სამწუხარო მოვლენების გათვალისწინებით პროცესი შეჩერდა და გაგრძელდა დახურულ კარს მიღმა. ოფიციალური ანგარიში ქვეყანაში ტერორისტული დაფინანსების რისკების შეფასების შესახებ, მოულოდნელად, საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა 2023 წლის 3 ოქტომბერს წინასწარი საჯარო კონსულტაციების ჩატარების გარეშე. შეფასება ძირითადად დადებითია სექტორისთვის, მაგრამ ანგარიში არ მოიცავს კონკრეტულ ინფორმაციას/დასაბუთებას.

ვინაიდან მთავრობა უარს ამბობს სამოქალაქო სექტორის დახმარებაზე და იყენებს მის მიმართ მტრულ რიტორიკას, სსო0ები კვლავაც, დიდწილად არიან დამოკიდებულნი უცხოურ დონორ ორგანიზაციებზე, რაც თავისთავად, არ უნდა წარმოადგენდეს ხელისუფლების მხრიდან სსო-ების შემდგომი და განგრძობადი სტიგმატიზაციის საფუძველს.

ბოლო საანგარიშო პერიოდიდან მოყოლებული, საქართველოს მხრიდან არ განხორციელე-ბულა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც მოემსახურებოდა რეკო-მენდაციათა გათვალისწინებას, შესაბამისად, წინა ანგარიშებში გამოვლენილი პრობლემე-ბის უმეტესობა გადაუჭრელი რჩება. ამდენად, რეკომენდაციების წინა ნაკრები კვლავ აქტუალური რჩება.

შვიდი პრიორიტეტული ქმედება (ძირითადი რეკომენდაციები) რომლებიც უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საარსებო გარემოს გასაუმჯობესებლად, შემდეგია:

1. საქართველოს მთავრობამ უნდა შეიმუშაოს და მიიღოს ერთიანი სტანდარტები/წესები კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების საჯარო კონსულტაციების შესახებ ეროვნულ დონეზე, მათ შორის, მკაფიოდ განსაზღვროს მონაწილეობა, როგორც სავალდებულო ეტაპი დადგენილებების, კანონპროექტების, სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში, ასევე დანერგოს სხვა, მსგავსი ტიპის ინსტრუმენტები და შექმნას დარღვე-ვის შემთხვევებში საქმის გამოსწორების ქმედითი მექანიზმები
2. სახელმწიფოს, ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის სხვა წარმომადგენლებმა უნდა შეწყვიტონ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე თავდასხმა და თავი შეიკავონ მათი შევიწროებისგან, გააძლიერონ კრიტიკული სსო-ების მონაწილეობა სამოქალაქო სექტორისთვის მნიშვნელოვან პროცესებში და უზრუნველყონ უსაფრთხო და თავისუფალი გარემოს არსებობა ორგანიზაციებისა და უფლებადამცველების საზოგადოებრივი საქმიანობისთვის.
3. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც იქნება ადამიანის ძირითად უფლებებთან შესაბამისობაში.
4. სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა უნდა გააგრძელოს აქტიური კომუნიკაცია სსო-ის წარმომადგენლებთან და უზრუნველყოს მათი ჩართულობა სსო-ის გარემოს არასათანადო გაუარესების თავიდან აცილების მიზნით MONEYVAL-ის სახელ-მძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესში.
5. სახელმწიფომ ურყევად უნდა დაიცვას მშვიდობიანი შეკრების უფლება, კანონიერი ფორმების გამოყენებით გაუმკლავდეს საჯარო პროტესტს, შევიდეს მოლაპარაკებაში საზოგადოებასთან და შეზღუდოს პოლიციის გადამეტებული რეაგირების შემთხვევები აქციებზე;
6. სახელმწიფო ინსტიტუტებმა, განსაკუთრებით საქართველოს მთავრობამ, პატივი უნდა სცეს და უპასუხოს საკუთარ ვალდებულებებს OGP-ის ფარგლებში, მათ

შორის OGP-ის სამოქმედო გეგმის მიღებით და გამოყოს მოცემულისთვის საკმარისი ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსები

7. პროკურატურა ვალდებულია პრიორიტეტულად და დროულად გამოიძიოს სსო-ების წარმომადგენლებზე, ჟურნალისტებისა და სხვათა სავარაუდო უკანონო და თვითნებური მეთვალყურეობის შემთხვევები, ყველა დაზარალებულისთვის უზრუნველყოს მსხვერ-პლის სტატუსის მინიჭება, საქმის მასალების სრულად მიწოდება და საზოგადოებასთან გამჭვირვალე ფორმატში ამ საკითხებზე უკუკავშირი.

V. მეთოდოლოგია

CSO Meter მხარს უჭერს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გარემოს რეგულარულ და თანმიმდევრულ მონიტორინგს და ფუნქციონირებს სსო აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებში. იგი შედგება სტანდარტებისა და ინდიკატორების ნაკრებისგან 11 სხვადასხვა უფლებრივ სფეროში, როგორც კანონის, ისე პრაქტიკის გასაზომად. იგი ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს და საუკეთესო პრაქტიკას. CSO Meter შემუშავდა ECNL-ის ექსპერტთა ძირითადი ჯგუფისა და ადგილობრივი პარტნიორების მიერ, აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნიდან.

2020 წლიდან მოყოლებული, ECNL, მეთოდოლოგიის ექსპერტებთან (RESIS) ერთად მუშაობს CSO Meter მეთოდოლოგიის პაკეტის ადაპტირებაზე, რათა შესაძლებელი გახდეს ხელსაყრელი საარსებო გარემოს სხვადასხვა მიმართულების შედარება როგორც ხარისხობ-რივი, ასევე რაოდენობრივი ნიშნით, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის საანგარიშო წლების განმავლობაში. შემუშავებული მოდელის პროექტი განიხილებოდა და გამოიცადა რეგიონული CSO Meter Hub-ის გაფართოებული შემადგენლობის მოანწილეო-ბითა და ჩართულობით, როგორც ელექტრონული კომუნიკაციის, ისე შესაბამის ონლაინ ღონისძიებაზე მხარეთა დასწრების საფუძველზე. განახლებული, შედარებაზე ორიენტირე-ბული მოდელი შესაძლებელს გახდის (i) შეფასდეს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების საარსებო გარემო 11 უფლებრივი სფეროდან თითოეულში; (ii) თვალყუ-რი მიედევნოს არსებული გარემოს განვითარებას/პროგრესს წლების განმავლობაში - თითოეულ ქვეყანაში; და (iii) შედარდეს არსებული სიტუაცია რეგიონის მასშტაბით.

რეგიონების მიხედვით პარტნიორებმა, სხვა დაინტერესებულ სსო-ებთან ერთად, რომლე-ბიც CSO Meter Hub-ის მონაწილეები არიან, ჩაატარეს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი და მიგნებებზე დაყრდნობით შექმნეს ქვეყნის ნარატიული ანგარიში. თითოეულ ქვეყანაში მოქმედებს ასევე მრჩეველთა საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია დაინტერე-სებული, სფეროს წარმომადგენელი და მცოდნე ექსპერტებისგან. საბჭოს წევრებს ორი ძირითადი ამოცანა აქვთ: განიხილონ ქვეყნის ნარატიული ანგარიშები და მის საფუძველზე თითოეული უფლებრივი სფეროს მიანიჭონ შესაბამისი ქულა.

მიმდინარე ანგარიში მოიცავს საანგარიშო პერიოდს 2022 წლის დეკემბრიდან, 2023 წლის ნოემბრის ჩათვლით.

მონიტორინგის პროცესი

ანგარიში მომზადდა ადგილობრივი სსო-ების მიერ: სამოქალაქო საზოგადოების ინსტი-ტუტი (CSI), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყნის ერთობლივი მეთოდოლოგიის მიხედვით.

ანგარიში აფასებს ძირითად მოვლენებს და მიმოიხილავს პროგრესს და მთავარ გამოწვე-ვებს, როგორც საკანონმდებლო ბაზის, ისე პრაქტიკის თვალსაზრისით.

ანგარიში შემუშავდა ინკლუზიური პროცესის მეშვეობით, რომელიც მოიცავს სსო-ებთან აქტიური კონსულტირების პროცესს. სამუშაო ჯგუფმა გამოიყენა კვლევის სხვადასხვა მეთოდი შესაბამისი მონაცემების შეგროვებისა და ყოვლისმომცველი ანალიზისთვის.

საწყის ეტაპზე პროექტის ჯგუფმა საფუძვლიანად შეისწავლა არსებული საკანონმდებლო ბაზა, მათ შორის, მართლწესრიგში ბოლო პერიოდში განხორციელებული და მოსალოდ-ნელი რეფორმები, რომლებიც გავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოების ეკოსისტემაზე. გარკვეული სტანდარტებისა და არსებული პოლიტიკის პრაქტიკაში დანერგვის ხარისხის უკეთ შესაფასებლად პროექტის ჯგუფმა გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია სხვადასხვა სამთავრობო უწყებებიდან, საქართველოს პარლამენტიდან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან და სხვა.

2022-2023 ფისკალური წლის განმავლობაში სახელმწიფო სუბიექტების მიერ მონაწილე ააიპ-ებზე გაცემული გრანტების ოდენობის შესახებ მონაცემების მოპოვების მიზნით, მოთხოვნის წერილი გაეგზავნა 15 სხვადასხვა ორგანოს, მათ შორის სამინისტროებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (სსიპ). შვიდმა მათგანმა მიგვაწოდა ინფორმაცია, ოთხმა განაცხადა, რომ ამჟამად არ გასცემდნენ გრანტებს, ხოლო დანარჩენმა ოთხის მიერ პასუხი არ მომზადებულა.

პროექტის ჯგუფმა ასევე გააანალიზა მეორეული წყაროები, მათ შორის კვლევები, ანგარიშები და შეფასებები, რომლებიც გამოქვეყნდა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საჯარო ხელისუფლების მიერ, რამაც ხელი შეუწყო ძირითადი ტენდენციებისა და გამოწვევების უკეთ იდენტიფიცირებასა და გამოკვეთას.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, პროექტის ჯგუფმა მოაწყო ორი ფოკუს ჯგუფი და რამდენიმე სიღრმისეული ინტერვიუ. ინკლუზიურობის გასაზრდელად, 2022 წლის ოქტომბერში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა 2 ფოკუს ჯგუფი. ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობა მიიღო ოცმა სამოქალაქო ორგანიზაციამ 13 სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან. მონაწილეებს ჰქონდათ განსხვავებული სამოქმედო არეალი და გამოცდილება, განსხვავებული საქმიანობის ისტორია, ფარგლები და სტატუსი.

ფოკუს ჯგუფის გარდა, მკვლევართა ჯგუფმა ასევე მოაწყო სიღრმისეული ინტერვიუები წამყვან უფლებადამცველ ორგანიზაციებთან, დარგის ექსპერტებთან და სახელმწიფო უწყებებთან. კერძოდ, ინდივიდუალური ინტერვიუები ჩატარდა შემდეგ პირებთან:

ანა ჯიქია: პრაქტიკოსი იურისტი კომერციული და არაკომერციული სამართლის სფეროში. რესპოდენტმა ისაუბრა იმაზე, თუ როგორ აისახება სამეწარმეო მიმართულებით კანონის ცვლილებები სსო-ს რეგისტრაციის პროცესზე პრაქტიკაში, ასევე რეგისტრაციაზე უარის თქმის ბოლოდროინდელ ან წარსულ შემთხვევებზე და კონსულტაციების შინაარსზე, რომელიც ძირითად შემთხვევებში ესაჭიროებათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს იურისტებისგან. განხილულ იქნა პროცესთან დაკავშირებული, მოსალოდნელი შედეგები.

ლევან ფანიაშვილმა და დავით ტივიშვილმა, შესაბამისად, სამართლებრივ და საგადასახადო და საკითხებში სპეციალიზებულმა CSI-ის ექსპერტებმა განიხილეს სსო-ებისა და ბიზნესის მიმართ სახელმწიფო მოპყრობის მიმდინარე ტენდენციები, მოქმედი საგადასახადო გარემო, ასევე სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობის თემა და OGP-ის ფარგლებში განვითარებული მოვლენები.

დიმიტრი გუგუნავამ - ექსპერტმა კიბერ და მონაცემთა უსაფრთხოების სფეროში განიხილა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით საკანონმდებლო გარემოში ცვლილებები და პრაქტიკაში მიმდინარე ტენდენციები, რომლებიც მნიშვნელოვანია ახალი საკანონმდებლო ინიციატივების ანალიზის და მათგან გამომდინარე საფრთხეების/დადებითი შედეგების განხილვის კუთხით.

ანგარიშში განხილულია შესაბამისი სტანდარტები და მოცემულია რეკომენდაციები არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის 11 უფლებრივი სფეროდან - თითოეულში. ეს რეკომენდაციები შეიძლება საფუძვლად დაედოს სამომავლო რეფორმებს, რომლებიც პასუხისმგებელი ორგანოების მხრიდან გატარდება საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობის და საარსებო გარემოს გაუმჯობესების მიზნით.

მიმდინარე ანგარიში მოიცავს პერიოდს 2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის ნოემბრამდე. სამოქალაქო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც მოხდა მონაცემთა შეგროვებისა და ანგარიშის დასრულებამდე პერიოდში, მოკლედაა ასახული მოკლე მიმოხილვაში, მაგრამ არ არის გათვალისწინებული ქულების მინიჭების ეტაპზე.

ქვეყნის ნარატიული ანგარიშის პროექტი განიხილეს მრჩეველთა საბჭოს წევრებმა. საბოლო დასკვნები და რეკომენდაციები გადაიხედა და შემუშავდა სწორედ მრჩეველთა საბჭოს წევრების უკუკავშირის საფუძველზე.

შეფასების პროცესი

მკვლევრებმა (ანგარიშის ავტორება) და მრჩეველთა საბჭოს ათმა წევრმა ხელახლა შეაფასა ის უფლებრივი მიმართულებები, სტანდარტები და სფეროები, რომლებშიც დაფიქსირდა ცვლილება. შესაბამისად, მინიჭებული ქულები გაზრდილია იმ შემთხვევაში, თუ უფლებრივი სფეროს პრაქტიკულ ან საკანონმდებლო კომპონენტში ნაჩვენებია პროგრესი, და შემცირებულია არსებული სიტუაციის გაუარესების შემთხვევაში. ამის შემდეგ თითოეული სტანდარტის საბოლოო ქულა დაანგარიშდა ფორმულის მიხედვით, რომელშიც მკვლევართა მინიჭებულ ქულებს 50 პროცენტი უკავია, ხოლო მრჩეველთა საბჭოს წევრების საშუალო ქულას დარჩენილი 50 პროცენტი. შემდეგ თითოეული მიმართულების ქულამ შეადგინა სტანდარტების მიხედვით საბოლოო ქულების საშუალო მნიშვნელობა და მრგვალდება ერთი ათწილადით პრეზენტაციის მიზნებისთვის. ზოგადად, ქულების შედგენის პროცედურისთვის გამოიყენება 7-ბალიანი სისტემა. ყველაზე მაღალი და შესაბამისად, ყველაზე დაბალი ქულები ასახავს ერთ შემთხვევაში ყველაზე უარეს ან იდეალურთან მიახლოებულ (ყველაზე ხელსაყრელ) გარემოს. მაგალითად, (1) არის უკიდურესად არახელსაყრელი (ავტორიტარული) გარემო, ხოლო (7) უკიდურესად ხელსაყრელი (იდეალური, მაქსიმალურად დემოკრატიული) გარემო სსო-ებისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის CSO Meter ინსტრუმენტის, ქულების მინიჭების პროცესისა და გაანგარიშების შესახებ, გთხოვთ, ეწვიოთ https://csometer.info/.

VI. წყაროები

კანონმდებლობა

- საქართველოს კონსტიტუცია https://matsne.gov.ge/en/document/view/30346?publication=36.
- მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=1
- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ

  https://matsne.gov.ge/ka/document/view/4690334?publication=10
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი https://matsne.gov.ge/en/document/view/16270?publication=33
- ჟურნალისტების ქცევის კოდექსი ევროკომისიის შენობაში. მუხლი 6. https://bit.ly/3RKErmx
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის შსახებ კანონი https://matsne.gov.ge/en/document/view/1561437?publication=9
- 2022 Country Reports on Human Rights Practices: Georgia. United States Department of State Available at: http://bit.ly/3Mf3moP

კვლევები და ანგარიშები

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://www.geostat.ge/en/modules/categories/41/population
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://www.geostat.ge/en/modules/categories/23/gross-domestic-product-gdp.
- სსო საქართველო, რეგისტრირებული სსო-ების სია, https://csogeorgia.org/storage/app/media/organisation_list.pdf
- სსო საქართველო, https://csogeorgia.org/en/.
- თავისუფლების სახლი, თავისუფლება მსოფლიოში 2023 https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2023
- შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, „2022 ქვეყნის ანგარიშები ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ საქართველოში“, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3Mf3moP.

- კოალიცია თანასწორობისთვის, „არადისკრიმინაციის უფლება პრაქტიკაში სხვადასხვა ჯგუფებისთვის საქართველოში 2021 წლის ანგარიში“, ხელმისაწვდომია (ქართულ ენაზე) მისამართზე: http://bit.ly/3ljnYKl, განახლებულია 04/04/2023.

- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „მედიის ცილისწამების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებები სახიფათო ტენდენციად იქცა“, 02.12.2022, ხელმისაწვდომია (ქართულ ენაზე): http://bit.ly/3TjFmLq, განახლებულია: 04.04.2023.

- რეპორტიორები საზღვრებს გარეშე, პრესის თავისუფლების ინდექსი, https://rsf.org/en/index.

- OGP რეაგირების საქმე: საქართველო https://www.opengovpartnership.org/ogp-response-policy/response-policy-case-georgia/

- დაკავებებისა და მშვიდობიან შეკრებებში ჩარევის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.ombudsman.ge/eng/saparlamento-angarishebi

- საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ვითარების შესახებ საქართველოში 2021წ. https://www.ombudsman.ge/res/docs/2022070612391254904.pdf.

- მედიის აკრედიტაცია პარლამენტში, უცხო ქვეყნების გამოცდილება, საქართველოს პარლამენტის კვლევის ცენტრი, 2021 წელი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3YdJTRk, განახლებულია 04.04.2023 წ.

მედია სტატიები და სხვა ონლაინ წყაროები

- CSI, „საქართველო არის საშუალო რისკის ქვეყანა სსო საქმიანობისთვის, CSO Meter 2022-ის მიხედვით“, 2023 წლის 16 მაისი https://civilin.org/en/information/georgia-is-a-medium-risk-country-for-cso-activities-according-to-cso-meter-2022/.

- „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, სსო განცხადება: საქართველოს მთავრობა უხეშად არღვევს ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) პრინციპებს, 16 მაისი, 2023 წელი https://bit.ly/3tqEopK.

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფეისბუქ გვერდი, რეკლამა რეგისტრაციის პროცესის სიაცლეების შესახებ (ხელმისაწვდომია ქართულად) https://www.facebook.com/MinistryofJusticeofGeorgia/videos/518412390427812/

- Civil.ge USAID და EED 'დაფინანსების ექსტრემიზმი საქართველოში' 2023 წლის 25 ოქტომბერი https://civil.ge/archives/565471

- საია, „ბანერის გაშლისთვის დაკავება უკანონოა და ძირს უთხრის კონსტიტუციურ პრინციპს. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი. 03.06.23. ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/baneris-gashlis-gamo-dakaveba-ukanonoa-da-dzirs-utkhris-konstituciur-princips#sthash.VNspSyKC.dpbs

- საია, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ეხმაურებიან უფლებადამცველების დაკავების ფაქტებს. 03.06.23 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DKYQlh

- საია, ყვარელში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, 20.05.23. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3YqH6VP

- საია, ადმინისტრაციული პატიმრობის პრაქტიკა არღვევს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს, 01.08.2023 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OrjHPl

- საია, მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის წინააღმდეგ პოლიციამ გამოიყენა უკანონო და არაპროპორციული ძალა.08.03.23, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qkxM9u

- სსო მეტრი, საქართველო: მასობრივი საპროტესტო აქციების შემდეგ, მმართველმა პარტიამ გაიყვანა კანონპროექტი უცხოელი აგენტებისთვის, 9 მარტი, 2023, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/43ZazHH

- საია, არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება 2023 წლის 2-3 და 7-9 მარტს დაკავებულთა საქმეების შესახებ, 21.03.23 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3QpKEWx

- საია, შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს ტოლერანტულ პოლიტიკას სიძულვილის ჯგუფების მიმართ. 08.07.2023, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OOqgNG

- საია, 2021 წლის 5-6 ივლისს მომხდარი მოვლენები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გამოძიებული, 5 ივლისი, 2023, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/44Z4hZM

- Civicl.Ge. „სილქნეტი და მაგთიკომი აკრიტიკებენ ComCom-ის მიერ 5G აუქციონის მართვას". 1 აგვისტო, 2023. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/archives/554005

- Civil.Ge. ევროკავშირი 2.3 მილიარდი ევროს ინვესტიციას განახორციელებს საქართველო-რუმინეთის შავი ზღვის ელექტრო კაბელში. 2022 წლის 12 დეკემბერი, https://civil.ge/archives/518324

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო https://tenders.procurement.gov.ge/

- CSI, „საზოგადოებრივი ორგანიზაციები შეხვდნენ სახელმწიფო წარმომადგენლებს ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის საკითხებზე“, 2010 წლის 13 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია (ქართულ ენაზე): https://civilin.org/information/9703/

- საქართველოს ამბები. „ფეისბუქი ამხელს საქართველოს მთავრობის სტრატკომს ყალბ ანგარიშებთან დაკავშირებით“ ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3sNz4KX

- საია, “[მართლმსაჯულება 1984 წლის კოდექსით” ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OvxQes

- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). „ციფრული უფლებების მაუწყებლობის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების შედეგები“. ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/en/effects_of_the_amendments_to_the_law_on_broadcasting_on_digital_rights

- საია, „სამოქალაქო უფლებების შეზღუდვის მზარდი ტენდენცია გრძელდება ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით“. 02.10.23. ხელმისაწვდომია https://bit.ly/3QIj7zp

- Interpressnews.ge, პრეზიდენტმა ვეტო დაადო „შეკრებებისა და დემონსტრაციების შესახებ“ კანონში ცვლილებებს.17.10.2023 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/49gymqq

- საია, ხალხი რუსეთის კანონმდებლობის წინააღმდეგ; 7-9 მარტის „ხალხი რუსეთის კანონის წინააღმდეგ“ აქციის ფაქტების შეფასება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევა. 30.10.23 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/49lvx7g

- მედიის ადვოკატირების კოალიციის განცხადება ირაკლი ტაბლიაშვილის მიმართ მუქარის შესახებ. 26.06.2023 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OEgoWG

- მედია ადვოკატირების კოალიცია გმობს ნოდარ მელაძის ქურდობის ფაქტს 13.06.2023. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ODkOwL

- საია, „20-21 ივნისის მოვლენები გამოუძიებელია“. 19.06.20. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3w2NW5Z , განახლებულია: 05.03.22

- საია, „5-6 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია და სამართლებრივი შეფასება“, 2021 წელი, 13-21, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lRIqyX, განახლებულია: 27.04.2022წ.

- საია, „თბილისის საქალაქო სასამართლომ 5 ივლისის საქმეზე განაჩენი გამოაცხადა“, 04.04.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LlDEV1, განახლებულია: 27.04.2022.

- მედია ადვოკატირების კოალიცია [ფეისბუქის გვერდი], 13.03.2023, მედია ადვოკატირების კოალიცია მიმართავს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონო ჩარევისა და სხვა დარღვევების თაობაზე, ხელმისაწვდომია მისამართზე: https://bit.ly/3JxaRNV, განახლებულია: 04.04. 2023 წელი

- მედიის ადვოკატირების კოალიცია, 20.04.2023, რუსეთის კანონის პროტესტის გამო დაპატიმრებული ჟურნალისტების დასჯა კიდევ ერთი სახიფათო პრეცედენტია მედიისთვის, ხელმისაწვდომია: http://mediacoalition.ge/ge/a/1288877b, [21.04.2023]. განახლებულია: 04.04.2023.

- მედიის ადვოკატირების კოალიცია, „კოალიცია ეხმიანება პარლამენტში ტელეკომპანია „ფორმულა“-ს ჟურნალისტებისთვის აკრედიტაციის შეჩერებას“, 06.05.2023, ხელმისაწვდომია (ქართულ ენაზე): http://mediacoalition.ge/ge/a/1ad4d65e

- CSO მეტრი, „საქართველო: სამოქალაქო საზოგადოებისა და კრიტიკული ხმების რეპრესიების ტენდენცია გრძელდება საკამათო სამართლებრივი ცვლილებებით“, 07.11.2023, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4ov6ZEY

- საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „8 ცვლილება, რომელსაც ითვალისწინებს ახალი კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 2023 წლის 5 ივლისი, https://bit.ly/3tqq5jw

- საქართველო: პრესსპიკერის განცხადება „გარე გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“(ე.წ უცხოური აგენტების შესახებ) კანონპროექტის შესახებ 2023 წლის 24 თებერვალი ხელმისაწვდომია: https://www.eeas.europa.eu/eeas/georgia-statement-spokesperson-draft-law-%E2%80%9Ctransparency-foreign-influence%E2%80%9D_en.

- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). „რუსეთის მოქალაქეების შემოდინება საქართველოში და საზოგადოების წუხილი საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესახებ“. ხელმისაწვდომია ქართულად მისამართზე: https://idfi.ge/ge/the_influx_of_russian_citizens_to_georgia_and_emerging_concerns_in_public_safety

- IDFI-ის მკვეთრი ვარდნა საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ https://idfi.ge/ge/sharp_decline_in_access_to_public_information